# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 25 ივლისი 2003 №136 (1908) | ფასი 50 თეთრი





# ქართველთა პროფესია: არაპროფესიონალიზმი

## შუშაკი 50 პროცენტს იბრალებს, დანარჩენს ვინ დაიბრალებს?



უსიამოვნო თემას, „დინამოს" ტირანულ მარცხს, უფრო სწორად კი, თავზე ლაფის დასხმას, არ შეიძლება, კვლავაც არ მივუბრუნდეთ. სხვა რომ არაფერი, გუშინ „დინამოს" მწვრთნელმა ივო შუშაკმა პრესკონფერენცია გამართა და იმ თამაშის მისეული შეფასება, ცხადია, საინტერესოა.

თუმცა შუშაკს არაფერი უთქვამს ისეთი, რაც საქართველოს ჩემპიონის მარცხის მიზეზს თუ მიზეზებს ახლებური კუთხით დაგვანახებდა. რაც მწვრთნელმა პრესკონფერენციაზე ილაპარაკა, აბსოლუტურად დამაჯერებელი და გასაგები იყო, მაგრამ, ცხადია, საპატიო მიზეზები არ ყოფილა.

შუშაკმა თქვა, რომ „დინამოს" რაგინდ არასწორი ტაქტიკა აერჩია, პირველ მატჩში მოპოვებული უზარმაზარი უპირატესობა არ უნდა გაენიავებინა.

ტაქტიკის სისწორეზე ჩვენც გვაქვს შენიშვნები, ალბათ ჯობდა, „დინამოს" სამბურთიანი უპირატესობის შენარჩუნებაზე აეწყო თამაში და არა მეოთხე გოლის გატანასა და მხოლოდ ამის მერე დამშვიდებაზე. მაგრამ მწვრთნელის მოსაზრებას ისევ ვეთანხმებით — „დინამოს" არჩეული ტაქტიკითაც არ უნდა გაეშვა სამი გოლი. მით უმეტეს — ალბანელებმა რიდით დაიწყეს თამაში, თითქოს ეშინოდათო. ანუ არანაირი წინაპირობა იმისა, რაც მოხდა, თითქოს არ არსებობდა, მაგრამ ფაქტი ტაბლოზეა, რაც ნიშნავს, რომ მომხდარს ახსნა აუცილებლად უნდა მოეძებნოს.

უბრალოდ, შეუძლებელია, 3:0 იგებდე, მეტოქეს შენი ეშინოდეს, თამაშის კალაპოტიდან გამომდინარე საგოლე მომენტების შექმნის უფლებას გაძლევდეს, შენ კი მაინც აგებდე. და მოდით, ნუ ვილაპარაკებთ ცაზე ვარსკვლავების უიღბლო განლაგებასა და ზებუნებრივი ძალების ჩარევაზე და ამის სანაცვლოდ ვთქვათ, რომ „დინამოს" მარცხს სრულიად მიწიერი ახსნა შეიძლება ჰქონდეს.

პრესკონფერენციაზე შუშაკმა თქვა, რომ ფეხბურთელებს თავში მხოლოდ მეორე ეტაპი და „გრაცერი" უტრიალებდათ და ამის გამო სათანადოდ კონცენტრაცია და მობილიზება ვერ შეძლეს.

ჩვენ გვჯერა, რომ ყველაფერი სწორედ ასეც იყო და სწორედ ამის გამო ვდებთ ბრალს გუნდს არაპროფესიონალიზმში.

არაპროფესიონალიზმი უამრავნაირად შეიძლება ვმარტოთ. სანამ გადახტები, ჰოპს იქამდე რომ დაიძახებ, არაპროფესიონალიზმია. მევარ და ჩემი ნაბადიო, ტრაბახს რომ მოჰყვები, ესეც არაპროფესიონალიზმია. სულ მცირედს რომ მიაღწევ და ამით ამაყობ, ესეც არაპროფესიონალიზმია.

გვახსენდება, დალია საქართველოს ძველმა თავდაცვის მინისტრმა ფსოუს წყალი და, ერთი ამბავი, რა მაგრები ვართო. რამდენიმე წლის წინ ბათუმის „დინამომ" ფარერელებს 6:0 მოუგო და მაშინაც იგივე ამბავი ატყდა.

ამ ორი ამბის გახსენებით დავკმაყოფილდეთ, თორემ გასახსენებელის მეტი რა გვაქვს.

მართალია, ამ ორი ამბის შედარება ეგებ მთლად კორექტული არც აყოს, მაგრამ ყველანაირი საქმისადმი ქართული მიდგომის არსს კი ზუსტად გადმოსცემს. ამიტომ, სიმართლე გითხრათ, რაც გუშინნნინ „დინამოს" შეემთხვა, გულსაკლავი კი არის, მაგრამ ძალიანაც არ უნდა გაგვიკვირდეს. „დინამომ" პანაწინა მეტოქესთან პანაწინა გამარჯვება მოიპოვა, თვითკმაყოფილებას მიეცა და თავისი დაემართა.

ტირანული მარცხის სრულიად მიწიერი ახსნა თუ გნებავთ, აი, ეს არის.

# ხელი ხელს, ფაჩულია მეჯიქს



ნბა-ს დრაფტიდან ერთი თვის თავზე უკვე გვაქვს უფლება, ზაზა ფაჩულია ნამდვილ ორლანდოელად ჩავთვალოთ. დრაფტზე 42-ე ნომრად არჩეული ქართველი დიდი ხანია, მზადაა, „ორლანდო მეჯიქში" ჩაირიცხოს, მაგრამ ჩვენებურის და ნბა-ს კლუბის საბოლოოდ შეკავშირებას ფორმალობები უშლიდა ხელს, ზაზას კონტრაქტი აკავშირებდა სტამბოლის „ულქერთან", მაგრამ ამერიკელები თურქებს მოელაპარაკნენ, თურქებმა ქართველს ზურგზე ხელი დაჰკრეს და ამ ორი დღის წინ ორლანდოს სამაუწყებლო გვერდებზე გაჩნდა ინფორმაცია — ზაზა ფაჩულია ამ კვირის ბოლოს ხელშეკრულებას გააფორმებს „მეჯიქთან". კი მივადექით კვირის ბოლოს.

ორლანდოში კი გოლიათ ქართველს საკანცელარიო საქმეების მოგვარებამდეც თავისად თვლიან, მაგალითად, გუშინ ის ორლანდოს გარეუბანში წაუყვანიათ და ბავშვებისთვის გაკვეთილის ჩატარება უთხოვიათ, რა თქმა უნდა, საკალათბურთო გაკვეთილის. ზაზამაც ხალისით შეასრულა თხოვნა.



ხოლო ბავშვების მონახულებამდე „მეჯიქის" წარმომადგენლებს ფაჩულია კლინიკაში წაუყვანიათ და სრულ სამედიცინო შემოწმებაზე გაუტარებიათ. ზაზა ჯანმრთელი „აღმოჩნდა".

# ნოკაუტი

*ალბანეთში შერცხვენილი „დინამო“ გუშინ გამთენიისას დაბრუნდა თბილისში. ხორვატ ივო შუშაკს მისი აქაური კოლეგებისგან განსხვავებით, ერთი კარგი თვისება გამოარჩევს — ავად თუ კარგად, წააგებს თუ მოიგებს, მედიასთან ურთიერთობას არ გაურბის. გუნდში შექმნილ ვითარებაზე, სახარბიელოა თუ არასახარბიელო, გულახდილად გვესაუბრება. გუშინაც ასე იყო, დილმის საწვრთნელ ბაზაზე რომ ვესტუმრეთ, სადაც სახელდახელო პრესკონფერენციასავით შედგა. შემცბარი, თუმც გულახდილი შუშაკი...*



...ჟურნალისტებთან ურთიერთობას არ გავურბივარ, ვისაუბროთ ყველაფერზე. სირაქლემა არ ვარ, მიწაში თავი ჩავრგო და დავიმალო. არ მჩვევია, გავექცე ჟურნალისტებს და გულშემატკივარს, მათ ყველაფერი უნდა იცოდნენ.

...ჯერ კიდევ თბილისურ მატჩამდე და მერეც ვამბობდი, რომ საქმე გვაქვს ძალიან სერიოზულ მეტოქესთან, „ტირანას“ აბუჩად აგდება არ შეიძლება-მეთქი. აქაური 3:0-ის მერე, ჩემდა სამწუხაროდ, ყველანი ფიქრებით ავსტრიაში იყვნენ, თავში მხოლოდ „გრაცერი“ უტრიალებდათ. მობილიზება და კონცენტრაცია ვერ შევძელით.

...თამაშის წაგებას სიცხეს ნამდვილად ვერ დავაბრალებ. ვიცოდი, რომ აუტანელი ხვატი იქნებოდა, ბიჭებსაც ვაფრთხილებდი და იცოდნენ კიდეც. სიცხე ალბანელთათვისაც იყო და, ბოლოს და ბოლოს, ციმბირიდან ხომ არ ვიყავით ჩასულნი.

...„ტირანა“ თავიდანვე აგრესიულად რომ შემოგვიტევდა, ამისთვისაც მზად ვიყავით და უნდა ვთქვა, რომ ჩემდა გასაკვირად, მათ გარკვეული რიდით დაიწყეს თამაში. ველოდი აგრესიულ ქომაგობასაც, დახვედრითაც ნორმალურად დაგვხვდნენ, მსაჯთა შეფასება კი, იცით, ჩემი საქმე არაა. ერთი სიტყვით, ჩარჩოებს არაფერი გასცდენია საიმისოდ, რომ წაგება დავაბრალო.

...გულახდილად გეტყვით, მცდელობის მიუხედავად, ვერ შევძელი ბიჭების მობილიზება, ვერ განვაწყვე ისინი, მაქსიმუმი რომ გაეღოთ. თამაში ტაქტიკოსმა შუშაკმა თუ ფსიქოლოგმა შუშაკმა წააგო? ტაქტიკას ვერ დავაბრალებ, რაც უნდა არასწორი ტაქტიკა აგვერჩია, ნებისმიერი მონახაზითაც კი 0:3 არ უნდა დავმარცხებულიყავით. ვერც თბილისური მატჩის შემადგენლობის შეცვლის მიზეზს ვხედავდი. საერთოდ, როცა ვიგებთ თამაშს, ჩემი წვლილი ერთი მეთორმეტედია, ვაგებთ? 50 პროცენტი ჩემია, პასუხისმგებლობას არ გავურბივარ.

...პირველ მატჩამდე ვიძახდი, თუ საკუთარ მოედანზე ბურთს არ გავუშვებთ, 1:0-თაც კმაყოფილი ვიქნები-მეთქი. 2:0-ზე ვიტყოდი, რომ დავალება შესრულებულია, 3:0-ზე კი ზეკმაყოფილი ვიქნებოდი. სამწუხაროა, მაგრამ გაკვეთილი მივიღეთ, სიმწარეს სანამ საკუთარ ტყავზე არ იგრძნობ, ვერ აღიქვამ, თუმც ვთვლი, 3:0 აუცილებლად უნდა შეგვენარჩუნებინა.

...როცა მეტოქე იძულებულია, 90 წუთის მანძილზე თავქუდმოგლეჯილმა, გააფთრებით შემოგიტიოს, სულ ცოტა 3-4 რეალური საგოლე მომენტი ხომ უნდა შექმნა. ჩვენ ერთიც ვერ მოვახერხეთ. გოლი, რომელიც გავიტანეთ და არ ჩაგვითვალეს. ეგ არ იყო მომენტი, ახალაიამ უბრალოდ სათამაშო სიტუაციიდან, შემთხვევით შეაგდო. არ დავიწყებ იმის მტკიცებასაც, თანამსაჯის მიერ აწეული ალამი სამართლიანი იყო თუ უსამართლო.

...ვთქვი, რატომღაც ალბანელებმა მორიდებულად დაიწყეს თამაში, თითქოსდა ჩვენი ეშინოდათო. მაგრამ დებიუტშივე, სრულიად ალოგიკური გოლი რომ გაგვიტანეს, ფრთები „ტირანას“ ამან შეასხა. გოლამდე ასე თუ ისე ვყოჩაღობდით, მერე კი, ჩემთვის მოულოდნელად, ბიჭებმა რატომღაც უპირატესობა გაფლანგეს, რომ იტყვიან, აჩუქეს მეტოქეს. ჩემი გუნდი ასეთი უსუსური არასდროს მინახავს, „ტირანასაც“ ის შიში და რიდი გაუქრა, ალბათ, იფიქრეს, ესენი არაფრის მაქნისები არიანო და...

...ასე მეგონა, ჩემი ბიჭები დაჰიპნოზებულნი იყვნენ. მათ კარგად ვიცნობ, თოთხმეტივე, ვინც ითამაშა, ვერ ვიცანი, ვერ აღმოვაჩინე ისეთი, ვინც ჩვენს თამაშს ოდნავ მაინც გამოაცოცხლებდა. ჩვეულზე ხშირად მიწევდა სარბენ ბილიკებთან მისვლა, რაც შემეძლო, ვამხნევებდი, მაგრამ ვერ გამოვაღვიძე. მიუხედავად ყველაფრისა, დამატებითი დრო დაიწყო თუ არა, დავრწმუნდი, ჩვენ საკმაო რეზერვი გვქონდა, რათა თამაში გადაგვერჩინა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. სპორტული სიმამაცე, მოურიდებლობა არ ეყოთ ბიჭებს.

...„დინამო“ ნოკაუტშია, მე კი ნოკდაუნში. მწვრთნელი ვარ და მდგომარეობიდან რაც შეიძლება მალე უნდა გამოვიდე, რათა ნოკაუტში არ აღმოვჩნდე. ბიჭები ფსიქოლოგიურ სტრესში არიან და ჩემი ვალია, რაც შეიძლება მალე გამოვიყვანო შოკური მდგომარეობიდან.

...ახლა მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატზე უნდა გადავერთოთ. სპორტსმენს არ აქვს უფლება, გამარჯვება დიდ ხანს იზეიმოს, ანაც წაგება იგლოვოს. ხვალიდანვე ვიწყებთ მზადებას, მინდა, კვლავაც ვიხილო ამბიციური, მებრძოლი, მოტივირებული გუნდი, როგორც თამაშებზე, ისე ვარჯიშებზე. ვიქნები ძალიან ყურადღებიანი. უამბიციო მოთამაშე „დინამოს“ ძირითადში ვერ მოხვდება.

...ბრაზილიელი ტესერის ტრანსფერს ყოველ წუთს ველით. იმედი მაქვს, საჩემპიონატო განაცხადში დროულად შევიყვანთ.

...მე არ ვარ ავადმყოფურად ამბიციური კაცი. რეალისტი ვარ. ლიგაში შორს მიმავალ გეგმებს არ ვისახავდი, თუმც ვთვლი, სულ ცოტა, ოთხი თამაში „გრაცერის“ ჩათვლით უნდა გვეთამაშა. ვწუხვარ, იმედგაცრუებული და ძალიან გულნატკენი ვარ. მედიის როლი განსაკუთრებულია, მითუმეტეს სპორტში. ბოდიშიც მინდა მოგიხადოთ ჟურნალისტებს და იმ ქომაგებს, ვისაც ჩვენი სჯეროდა.

**გიორგი ბუზაძიძე**

# სპარტაკის სამზარეულო და რუსული შოვინიზმი

## ქოქიაშვილმა ამას ლოკომოტივი არჩია

*ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲝᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ თბილისის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი ახალწვეულია. ის რკინიგზელთა გუნდში გერმანული შეკრების წინ მივიდა, გუშინ კი შინ დაბრუნებულმა „ლოკომოტივმა“ პირველად ივარჯიშა და ქოქიაშვილსაც წვრთნის მერე დაველაპარაკეთ*



— მოსკოვის „სპარტაკიდან“ „ლოკომოტივში“ გადმოსვლა რამ გადაგაწყვეტინა?

— „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობა მამაჩემს დაუკავშირდა და სთხოვეს, მათთან მივსულიყავი. ჩემით „ლოკომოტივის“ მწვრთნელიც დაინტერესდა და მეც იჯარით წამოვედი „სპარტაკიდან“. შემეძლო, განათხოვრებით „ალანიაში“ ან „სოკოლში“ გადავსულიყავი, მაგრამ საქართველოში თამაში გადავწყვიტე.

— რატომ?

— რუსულ გუნდებში თამაშს აქ მირჩევნია. მოსკოვის „სპარტაკი“ რომ არ ყოფილიყო, სხვა რუსულ გუნდში არც წავიდოდი. „სპარტაკში“ დამკვიდრების მხრივ საქმე ნორმალურად მიმდიოდა. გაზაფხულზე მუხლის ოპერაცია რომ გავიკეთე, ფორმაში შესვლისთვის დრო მჭირდებოდა და მპირდებოდნენ, ორ თვეში ძირითადში გათამაშებთო.

— „სპარატკმა“ რუსეთში ბოლო დროს დათმო მოწინავე პოზიციები. იქ ყოფნისას როგორ შეატყვე, რისი ბრალია ეს?

— კლუბში ხელმძღვანელობა შეიცვალა და „სპარტაკში“ მაინცდამაინც კარგი სიტუაცია არაა. წარმოიშვა პრობლემები, თუნდაც ხელფასების დაგვიანება. მეც ისე წამოვედი „სპარტაკიდან“, ერთი თვის ხელფასი არ ამიღია.

— „ლოკომოტივში“ ერთწლიანი იჯარით ხარ. მერე ისევ „სპარტაკში“ აპირებ დაბრუნებას?

— სიმართლე გითხრა, „სპარტაკიდან“ საერთოდ მინდა წამოვიდე, თუმც მოსკოველებთან სამწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს. ვინც არ იცის, რა ვითარებაა „სპარტაკში“, ჩემი ნათქვამი ალბათ გაუკვირდება. შორიდან ვითომ არაფერი ჩანს, მაგრამ „სპარტაკის“ სამზარეულოში ცუდი სიტუაციაა. გუნდის დაახლოებით სამოცდაათ პროცენტს ჩემნაირი სურვილი აქვს.

— მაინც რა ხდება „სპარტაკში“ ასეთი?

— მთავარმა მწვრთნელმა ანდრეი ჩერნიშოვმა ამას წინათ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, „სპარტაკში“ სულ რუსმა ფეხბურთელებმა უნდა ითამაშონ, მაგრამ ეგაა, რომ რუსი ფეხბურთელების ფასი ძალიან ძვირიაო. თანაც „სპარტაკში“ ეგრეთ წოდებული ლუბიმჩიკებიც ჰყავთ, ხოლო ვალერი აბრამიძეს უსამართლოდ ექცევიან, არადა, იგი გუნდში ერთ-ერთ საუკეთესო მცველია. ასეთი რამეების ატანა ქართველი კაცისთვის ძალიან ძნელია.

— „ლოკომოტივში“ რა პერსპექტივას ხედავ?

— ვფიქრობ, გუნდს შეუძლია ჩემპიონობისთვის ბრძოლა. „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებმა ძალიან კარგად მიმიღეს, მათთან ურთიერთობა და მუშაობა ერთობ სასიამოვნოა. „ლოკომოტივთან“ პირობებზე კიდევ უნდა დავილაპარაკო, თუმც 90 პროცენტი გადაწყვეტილია, რომ აქ ვითამაშებ.

— რა პოზიციაზე?

— გერმანულ შეკრებაზე სამივე საკონტროლო მატჩი მარცხენა ნახევარმცველად ვითამაშე, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუმც ცენტრშიც არანაკლებ შემიძლია თამაში.

**დავით თავართქილაძე**

### შვედეთი

XV ტური

ჰალმსტადი 1:0 გიოტებორგი

### რუსეთი

პრემიერლიგა. XVIII ტური

ცსკა 2:0 ურალანი

# რკინიგზა კუნთებს იყენებს

**გუშინ** „ლოკომოტივში“ ივარჯიშა რუსეთის პირველი დივიზიონის „კრისტალიდან“ წამოსულმა თენგიზ სიჭინავამ.



თენგიზ სიჭინავა

ეს ნახევარმცველი, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში ათი მატჩიც უთამაშია, რუსეთში წასვლამდე თბილისის „დინამოში“ ირჯებოდა. სიჭინავას „ლოკომოტივში“ ჩარიცხვა-არჩარიცხვის საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა, ისევე როგორც რევაზ ქემოკლიძის და დინამოელების — გიორგი მიქაძის და გიორგი მანწკავასი.

**დავით თავართქილაძე**

# ზირაქიშვილის სპარსული ცდა

## ირანში პარამონოვსაც ელიან



**ზაზა ზირაქიშვილი,** ვინც ორი წლის წინ საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და მთავარმეგოლე შეიქნა, ბოლოს ქუთაისის „ტორპედოში“ გამოდიოდა და ახლა უგუნდოდაა. ზირაქიშვილს ნაოპერაციევი მუხლი აწუხებდა, მაგრამ ახლა სრულად განიკურნა, დამოუკიდებლად ვარჯიშობს და მალე ირანშიც წავა.

ზირაქიშვილი დღეს აიღებს სპარსულ ვიზას და კვირის ბოლოს გაემგზავრება კიდეც. ზაზას ირანული ვარიანტი ფიფას ლიცენზირებულმა აგენტმა გიორგი ჯიქიამ გამოუძებნა.

თეირანის „თეიქანთი“ — ასე ჰქვია გუნდს, რომელსაც ზირაქიშვილი ესტუმრება. ეს ერთ-ერთი მოწინავე ირანული კლუბი გახლავთ. თუმც ტრანსფერის ბედი ჯერ გადაწყვეტილი არ არის — ირანელები ჩვენებურებს იქ დააკვირდებიან — ზირაქიშვილთან ერთად მიდის დიმიტრი პარამონოვიც, რომელიც ტრავმის გამო რამდენიმე ხნით ჩამოშორებული იყო ფეხბურთს, ამ ზაფხულს კი „მცხეთაში“ ვარჯიშობდა.

**დავით თავართქილაძე**



# მუნჯების სიმღერა

## დინამომ უპასო ფეხბურთი ითამაშა

*ტირანას „ქემალ სტაფას“ სტადიონის დასავლეთი ტრიბუნა ორი-სამი მეტრი სიმაღლის კედლიდან იწყება. სულ 7-8 რიგია.*

*77-ე წუთი იყო, როცა ამ ტრიბუნაზე ერთი ალბანელი წამოხტა და სიხარულისგან, მგონი, სულიც განუტევა. ამ დროს „ტირანამ“ „დინამოს“ მესამე, ორი მატჩის ჯამში ანგარიშის გამთანაბრებელი გოლი გაუტანა. იმ საბრალოს გულმა კი ემოციას ველარ გაუძლო და ტრიბუნიდან სარბენ ბილიკზე გადავარდა. ატყდა ერთი ამბავი, სასწრაფო წამში იქ გაჩნდა. ის ქომაგი დღეს ცოცხალია თუ მკვდარი, ვერ გეტყვით. სამაგიეროდ, გეტყვით, რომ იმ საწყალი ალბანელივით ცოცხალ-მკვდარი იყო ნამატჩევს „ქემალ სტაფაზე“ მყოფი ქართული დელეგაცია. „ტირანამ“ შეუძლებელი შეძლო და „დინამოს“ კაი ალიყური აჭამა. თბილისში დაბრუნებულს კი ის ამბავი დამხვდა, რაც თქვენ ჩემზე უკეთ იცით და გუშინდელი „სარბიელის“ პირველ გვერდზე წერია.*

*ცაიტნოტური ვითარების გამო „ტირანა“ — „დინამოზე“ წერა მატჩის მსვლელობისას მომიხდა და ვფიქრობ, ის გაწცდა, ის ემოცია, რაც „ქემალ სტაფაზე“ იყო, ის, რაც „დინამომ“ ითამაშა და საერთოდ, რა მოხდა 23 ივლისს ტირანაში, სრულად ვერ გადმოგეცით. ახლა ვეცდები*

**სამშაბათი**, 22 ივლისი, ტირანას დედა ტერეზას სახელობის აეროპორტში „აირზენას“ ბოინგი 10 საათზე დაეშვა. ტემპერატურა 30 გრადუსი. საკმაოდ მაღალი ტენიანობა, უცხო ჰავა, გარემო. 15 წუთში საბაჟო პრობლემები მოგვარდა, „დინამო“ ხუთვარსკვლავიან „შერატონში“ დაბინავდა, საიდანაც „ქემალ სტაფამდე“ იმდენია სავალი, რამდენიც ჩვენი ეროვნული სტადიონიდან ვაგზლის ბაზრობამდე. გუნდი კარგად მოეწყო, პირობებზე კაცი ვერ დაიწუწუნებდა. ივო შუშაკმა ვარჯიში ექვს საათზე დანიშნა, მატჩის დაწყების დროს. ალბანელები ამბობდნენ, დღეს ისე არ ცხელა, ფოთლები მაინც ირხევა და გრილაო. ამ სიგრილეში თერმომეტრი 40 გრადუს აჩვენებდა, რაც ქართველებისთვის აუტანელი იყო. ვარჯიში სადღაც შვიდისთვის დამთავრდა, ფეხბურთელებს გამოველაპარაკე, ისე აღარ ცხელა, როგორც ნაშუადღევს, თამაში შეიძლებაო, თქვეს.

მატჩის დღეს მზემ კიდევ უფრო დააჭირა, შხაპი და აუზი, ერთადერთი საშველი ტირანაში ჩასულთათვის. მთელი დღე ტემპერატურა 45 გრადუსი იყო, 5 საათიდან ექვსამდე კი უფრო ჩამოცხა.

თამაშის დაწყებამდე 45 წუთით ადრე „ქემალ სტაფაზე“ ათასამდე ქომაგი იქნებოდა, დანარჩენებიც ნელ-ნელა მოდიოდნენ და საბოლოოდ სამი ათასამდე შეიკრიბნენ. მაყურებლის რაოდენობას ზუსტად ვერ ვამბობ, რადგან ეს მასპინძელთაგან ჩვენთვის არავის უთქვამს. აღმოსავლეთ ტრიბუნაზე, მზის გულზე ხალხი საცვლის ამარაა, დასავლეთით ვიპ და პრეს ლოჟებია, იქით-აქეთ კი შედარებით ძვირიანი ადგილები, საიდანაც ის ალბანელი გადავარდა.

წარმოიდგინეთ ტრიბუნაზე მყოფი ქართველების გაკვირვება, როცა მოთელვის შემდეგ „დინამო“ სათამაშოდ ნარინჯისფერი მაისურებით გამოვიდა. ცრურწმენაა, მაგრამ მაინც: მაშინვე გულმა რეჩხი მიყო, ემანდ რამე არ მოხდეს... ნარინჯისფერი „დინამო“? თუ ვინმეს ასეთი ახსოვს, გვითხარით, როდის, მადლობლები დაგრჩებით.

„დინამოს“ შემადგენლობა ძირითად-სათადარიგოებიანად ისეთივეა, როგორიც თბილისში „ტირანასთან“ პირველი მატჩისას. ალბანელთა შორის კი რამდენიმე ცვლილებაა. განაცხადში საერთოდ არაა მცველი დაბულა, რომელიც ტრავმირებული იყო. მწვრთნელ სულეიმან მემას რამდენიმე ფეხბურთელისთვის სათამაშო პოზიციაც შეუცვლია, კერძოდ, თბილისში ლიბეროდ მოთამაშე კაპიტანი დედე ტირანაში ერთ-ერთ სტოპერად მოგვევლინა და ქართველი თავდამსხმელები არ გაახარა. ჰაერში თუ მიწდორზე, ყველაფერი დედესი იყო. შუშაკისეული სათამაშო სქემაც თბილისური იყო, არადა... თბილისში მატჩი 3:0-ითაა მოგებული, ისეთი ანგარიშია, უნდა მოინდომო, მეტოქემ რომ გაგითანაბროს. „დინამომ“ ეს მოახერხა. როგორ? რა გითხრათ, მიჭირს ახსნა, შუშაკის გაწვრთნილი „დინამო“ ასეთი უსუსური, უმაქნისი, ძალადაკარგული, უილაჯო არ მახსოვს... გადაღლა? ალბათ ესეც იყო. შესაძლოა, შუშაკმა გუნდი მოსამზადებელი ეტაპისას გადატვირთა და ფეხბურთელებმა ძალების აღდგენა ვერ მოასწრეს. მწვრთნელის ტაქტიკური შეცდომა? ვფიქრობ, ამ სამარცხვინო წაგების მიზეზი ეს უფროა. თავიდან არ ამომდის თბილისური ანგარიში — 3:0. სამბურთიანი უპირატესობა, თანაც ვისთან, ალბანურ „ტირანასთან“, საფეხბურთო რუკაზე სანთლით საპოვნელ გუნდთან. ერთი კითხვა შუშაკს: არ შეიძლებოდა, ტირანაში ოთხი, თუნდაც ხუთი მცველით თამაში? არ შეიძლებოდა, ორი თავდამსხმელისთვის ერთი მოგვეკლოთ და შუა ხაზი გაგვეძლიერებინათ? იქნებ თბილისშიც ყოჩაღად და მწვავედ მოთამაშე მუკასთვის პერსონალური მეურვე მიგეჩინათ, მით უმეტეს, ჩაფლავებული პირველი ტაიმის შემდეგ? ისევ შუშაკის მისამართით ორი სიტყვა: გუნდს ხომ ძალიან კარგად გამოსდის და, ასწავლეთ კონტრშეტევაზე თამაში. მატჩების უმეტესობა ხომ „დინამომ“ სწორედ ამ ხერხით მოიგო. მაინცდამაინც „ტირანასთან“ 3:0 მოგების შემდეგ რატომ შეცვალეთ ის, რაც აქამდე თქვენთვის წარმატების მომტანი იყო. 3:0 — ჯობდა, ნამდვილად ჯობდა ტირანაში ანაგრიშის შენარჩუნებაზე ფიქრი და თამაში, ვიდრე კიდევ ერთი გოლის პირველ ნახევარ საათში გატანა და მერე დამშვიდება. 90 წუთში ნებისმიერი გუნდს, მთლად უმაქნისსაც კი, შეექმნება ერთი-ორი მომენტი და ასეთი ანგარიშის შემდეგ სულაც არაა აუცილებელი, შეტევაზე იფიქრო. „დინამოს“ მიზანი ტირანაში კარის უგოლოდ შენახვა უნდა ყოფილიყო და არა გოლი. „დინამოს“ სამი გატანილი ჰქონდა.

და მაინც, ვთქვათ, გადაღლაც იყო და არასწორი ტაქტიკაც, ერთსაც ფეხბურთელებს ვკითხავ — როგორ შეძელით „ტირანასთან“ ასეთი ანგარიშით წაგება?..

„ტირანამ“ მატჩი ზედმეტი ფაციფუცის გარეშე დაიწყო. ერთი-ორი პასი დაცვის ხაზში, მერე შუა მოედანზე და მუკას ძებნა, თუ არადა უკანდახეულ თავდამსხმელ ფორტუზისთვის პასის მიცემის მცდელობა. ან ერთი იხსნებოდა, ან — მეორე. თბილისელი მცველები მათ ერთდროულად შევიწროვებას ვერ ახერხებდნენ. ესენი კი ბურთის მიღებისთანავე ფლანგებისკენ იყურებოდნენ და ჩარბენილ პარტნიორს ეძებდნენ, სინა და ლიკი გამთამაშებლებს დროულად ეხმარებოდნენ და ბურთიც არ ყოვნდებოდა. სტუმართა კართან ხიფათი კი ხუთ წუთში ერთხელ იქმნებოდა, ხანდახან ზედიზედაც. ალბანელთა ოსტატობისა რა ვთქვით, შესვენებამდე სამიოთხი უნაღდესი მომენტი რომ გააცუდეს. „დინამოს“ ბედი სწყალობდა, თორემ „ტირანა“ პირველ ტაიმშივე იმსახურებდა რამდენიმე გოლს.

შესვენების შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა. ინერტული „დინამო“ პასს ვერ აკეთებდა, ელემენტარულ სიტუაციაში ბურთი ხშირად იკარგებოდა, უფრო ხშირად შუა ხაზში და მერე სამ მცველსაც უჭირდა ენერგიულად მოძრავ და ტექნიკურ ალბანელებთან გამკლავება. „ტირანას“ თითქმის ყველა შეტევისას ერთი ფეხბურთელი თავისუფალი რჩებოდა, რომელიც ქმნიდა კიდეც მომენტს. გოლებიც ასე გაკეთდა. ჯერ იყო და, ლიკი დარჩა მარტო საჯარიმოს კუთხესთან და მოჭრილი დარტყმით კარის შორეულ კუთხეში გაიტანა. მეორე მთლად იმის მაგალითი იყო, თუ როგორ არ უნდა ითამაშო ფეხბურთი: საჯარიმოსთან მუკამ ბურთი რომ მიიღო, ფლანგიდან კარამდე ისე გაისეირნა, ხელის შემშლელი არავინ ჰყავდა, მისი პარტნიორი ფორტუზი კი ლამის კარის ხაზზე იდგა და ეული პასს ელოდა. პასმაც არ დააყოვნა, როგორც ბილიარდი, ისე გაითამაშეს ბურთი მუკა-ფორტუზიმ. მესამე გოლიც, ის საწყალი ტრიბუნიდან რომ გადმოაგდო, შეცვლაზე შესულმა ჰალილიმ თავით როცა გაიტანა, თბილისელთაგან მისი შემწუხებელი არავინ გამოჩნდა. არადა, „ტირანა“ საჯარიმოს აწვდიდა და ყველა ფეხბურთელმა იცოდა, ბურთი საჯარიმოში, მეკარის ბაქანზე დაეშვებოდა.

ყველაზე ცუდი კი ესაა: „დინამო“ გოლზე ფიქრობდა და ისეთი თამაში გამოვიდა, გოლს ვინ ჩივის, ეგბოს კართან რეალური საგოლე მომენტიც არ შექმნილა. საჯარიმო მოედნის პერიმეტრზე ბურთის გათამაშებას ჩვენებისთვის ხეირი არ მოუტანია.

„დინამომ“ რომ თამაში დაიწყო, ანგარიში უკვე 0:3 იყო. „ტირანას“ საქმე მოემთავრებინა. მესამე გოლიდან მატჩის დამთავრებამდე 13 წუთი რჩებოდა, იმედი უკვე გადაწურული იყო, სტუმრები იმ დღეს გოლის გამტანნი არ ჩანდნენ. იმ 13 წუთში „ტირანა“ დამშვიდდა, თითქოს დაღლა დაეტყო, მაგრამ „დინამოს“ „დინამოს“ სახე უკვე დაკარგული ჰქონდა. 13 წუთი ვედრება იყო — თამაში დამატებით დრომდე გაგრძელდეს, ეგებ... გაგრძელდა და „დინამო“ მართლა „დინამოს“ დაემსგავსა. „ტირანა“ ცენტრის ხაზამდეც ვერ აღწევს, იმ წუთებში ვფიქრობ, ეს ალბანელთა ტაქტიკური ჩანაფიქრია. მეტოქეს საკუთარ ნახევარზე შეიტყუებენ და კონტრშეტევას „დაარტყამენ“. რომ დავფიქრდი, ასე არ ყოფილა, დამატებით დროში ჩვენებმა მასპინძლები დაჩაგრეს. ახლაც თვალწინ მიდგას შუშაკის გაცოფებული გამომეტყველება, როცა ის დამატებით დროში სათამაშოდ არიგებდა შეგირდებს. მაინც არაფერი გამოვიდა. უპირატესობა უპირატესობად, მაგრამ „დინამოს“ გოლი სჭირდებოდა. სჭირდებოდა... საგოლედ ყველაზე რეალური მომეტი მაშინ იყო, როცა სამხარაძე-ახალაია-კანდელაკი სამ, მათ შორის ერთ ჩამორჩენილ ალბანელ მცველთან დარჩნენ. სისწრაფე იყო საჭირო, ზუსტი პასი და დარტყმა. არც ერთი იყო, არც მეორე და მესამე. ბოლო ორი წუთი კი უკვე ალბანელებისა გამოდგა და მატჩიც დამთავრდა.

პენალტები: შუშაკს ერთი შეცვლა პირველსავე ტაიმში იძულებით მოუხდა — ანჩაბაძე დაშავდა. მერე დარასელიაც შეცვალა და მელქაძეც. სამივე ეს ფეხბურთელი პენალტის დამრტყმელადაც ითვლება. სამივე შეცვლილი იყო. თუმც ამას დიდი მნიშვნელობაც არ ჰქონდა — „დინამო“ უკვე განწირული იყო. „ტირანა“ ისე იყო შემართული, პენალტს არ გააცუდებდა. ასეც მოხდა, მეხუთე პენალტი, რომელიც თბილისში ვერგამტან ფორტუზის უნდა დაერტყა, საჭირო აღარ იყო...

მერე თვითმფრინავი და უკანა გზა, ერთი-ორი ცრემლი და სიტყვები, ქომაგს თვალებში როგორ შევხედოთ... ეს უკვე ალალი სინანული, ერთგვარი ბოდიშიც იყო...

**ძოზა ინასრიძე**
*ტირანა-თბილისი*



ფერნაცვალ „დინამოს“ სახეც ეცვალა

# სიომინმა მალხაზ ასათიანი სათადარიგო სიომინს გააყოლა



მალხაზ ასათიანი

**მალხაზ ასათიანის** ლოკომოტივური კარიერა მთლად ისე არ ვითარდება, ქართველი გულშემატკივარი რომ ისურვებდა. ერთ-ერთმა უნიჭიერესმა ქართველმა ფეხბურთელმა ჯერაც ვერ დაიმკვიდრა ადგილი გუნდის ძირითად შემადგენლობაში.

ეს უფრო ყაზანის „რუბინთან" საშინაო მატჩის შემდეგ ითქმის. ახლა კი ასათიანი სულაც სარეზერვო გუნდში გადაიყვანეს. საქმე ისაა, რომ 2-3 აგვისტოს პორტუგალიაში „ოდიველას კუნსილის" თასის გათამაშება ტარდება, სადაც ლისაბონის „სპორტინგის", „პორტუს", „მანჩესტერ იუნაიტედისა" და მოსკოვის „ლოკომოტივის" სარეზერვო გუნდებთან ერთად მასპინძელი „ოდიველასიც" ითამაშებს. იური სიომინის ვაჟმა, რკინიგზელთა სარეზერვო გუნდის თავკაცმა ანდრეი სიომინმა პორტუგალიაში წასაყვან ფეხბურთელთა შორის ჩვენებურიც დაასახელა.

ასათიანის პორტუგალიურ ტურნირზე თამაში ცუდი არაფერია, მით უმეტეს, იქ ალბათ რამდენიმე ევროპული კლუბის სკაუტიც არ დაიზარებს შევლას, მაგრამ აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ „ლოკომოტივი" ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადებას იწყებს. თუმც იმედია, მოსკოვში დაბრუნებული ასათიანი ამ საქმესაც არ დააკლდება და ჩემპიონთა ლიგასაც მოსინჯავს.

პორტუგალიაში წასვლამდე კი მალხაზი და მისი რკინიგზელი თანაგუნდელი მიხეილ აშვეთია პრემიერლიგის მატჩისთვის ემზადებიან. „ლოკომოტივის" მეტოქე ვოლგოგრადის „როტორია".

**ბაჩა შალამბერიძე**

# ეს არ იყო ქართველების დღე

## კორღალიძეს და სკონტოს მალტურმა სიცხემ აუწია

*თბილისის „დინამოს" გარდა ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე რიგის „სკონტოს" ქართველმაც, ლევან კორღალიძემ ვერ გაალწია. ლატვიური კლუბი მალტურ „სლიმა უონდერერსთან" დამარცხდა. პირველ მატჩში 2:0 მოგების შემდეგ კუნძულელებმა რიგაში კი წააგეს, მაგრამ მატჩის ბოლო წუთზე იმ გოლის გატანა შეძლეს, რომელმაც „სკონტო" ხახამშრალი დატოვა.*

*ლევან კორღალიძე ამის შემდეგღა გამოჩნდა მოედანზე, თუმც, როგორც გუშინ გვითხრა, წესით, საერთოდ არ უნდა ეთამაშა...*

— რა უნდა ვთქვა, მალტელები თუ გაგვაგდებდნენ, ნაღდად არ მეგონა, მაგრამ დღევანდელი ფეხბურთი ასეთია. თამაში ყველამ ისწავლა.

**— არადა, თითქოს ამ წყვილში „სლიმა" უშანსო იყო...**

— აბა, თუნდაც ამ თამაშის ხელიდან გაშვება იქნებოდა?! 3:0 ვიგებდით და თავი მომდევნო ეტაპზე გვეგონა. სამწუხაროდ, მალტელებმა ბოლო წუთზე გაგვიტანეს. არადა, მაგრად ვაჯობეთ.

**— შენც მერე გამოჩნდი მოედანზე. რატომ?**

— სიცხე მქონდა და საერთოდ არ შემეძლო თამაში, მაგრამ მწვრთნელმა მაინც გადაწყვიტა ჩემი განაცხადში შეყვანა, შეიძლება, დამჭირდეო. 3:1 რომ გახდა, მკითხა, შეგიძლია თამაშიო. მეც შევედი. ორიოდ წუთი ვითამაშე და ეგ იყო. ახლა შედარებით უკეთ ვარ.

**— პირველ მატჩში 0:2-ის შემდეგ იმედი გქონდათ, რომ „სლიმას" გააგდებით?**

— როგორ არა. ფსიქოლოგიურად მზად ვიყავით. ვიცოდით, რომ მალტელების დამარცხება შეგვეძლო... უბრალოდ, სტუმრად ძალიან ცუდად ვითამაშეთ. არაფერი გამოგვივიდა. „სლიმამაც" ორი მომენტი გოლად აქცია და მოგვიგო.

**— ეს ალბათ „სკონტოდან" შენს წასვლასაც დააჩქარებს...**

— მე ისედაც ვაპირებდი გუნდის გამოცვლას. ყოველდღე ველოდები სიახლეებს, მაგრამ ჯერჯერობით რეალური არაფერია. ჩემი მენეჯერი ამ საკითხზე მუშაობს და ვფიქრობ, მალე ყველაფერი გაირკვევა.

**ბაჩა შალამბერიძე**



ლევან კორღალიძე

*ხვალ საქართველოს მეთხუთმეტე ეროვნული ჩემპიონატი იწყება. თითქმის ორთვიანი შესვენების შემდეგ გადახალისებული, შეკრებამოვლილი და ახალმიზანდასახული ქართული გუნდები კვლავაც წარდგებიან ერთმანეთის წინაშე. ამ ყველაფერს კი ახლებურ ტალღაზე მომართული ჩემპიონატი გვანახებს — როგორც იცით, მე-15 ეროვნულს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად პროფლიგაც ჩაატარებს.*

*სიახლეებია ქვეყნის სამგზის ჩემპიონ ქუთაისის „ტორპედოშიც." გუნდის კაპიტნისა და ლიდერის, მეთოთხმეტე ეროვნულის ბომბარდირისა და საუკეთესო ფეხბურთელის ზურაბ იონანიძის უკრაინულ „ტავრიაში" გადაბარგების შემდეგ რიონისპირელები საახალსეზონო გეგმებზე უფრო მოკრძალებულად საუბრობენ. არადა, ქუთათურებს მალე უეფას თასზე თამაშიც ელით...*

*ბულგარული შეკრება, ჩემპიონატი, უეფას თასი და ფრანგული „ლანსი"...*

*ამ თემებზე ქუთაისის „ტორპედოს" ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს, 22 წლის შოთა ბაბუნაშვილს გუშინ გავესაუბრეთ*

# ბაბუნაშვილი დინამოზე ფიქრობს

## ლანსური არ ვიცით, თორემ თბილისურად კი ვჭიკჭიკებთ



შოთა ბაბუნაშვილი (ბურთით) და „ტორპედო" შანსებს რეალურად აფასებენ

**— რას იტყვი ბულგარულ შეკრებაზე?**

— კარგ პირობებში ვემზადებოდით. თითქმის არანაირი პრობლემა. ამხანაგური მატჩებიც ვითამაშეთ და ვფიქრობ, ჩემპიონატს მზად ვხვდებით.

**— შენი აზრით, „ტორპედო" შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად დასუსტდა?**

— რთული სათქმელია. მით უმეტეს, გუნდი ზურაბ იონანიძემ დატოვა და მისი შემცვლელი არ გამოჩენილა. ზურა ჩვენთვის დიდი ძალა იყო. ამიტომ შარშანდელზე ძლიერი არა, მაგრამ იგივე დონეზე თამაში მაინც უნდა შევძლოთ. ახლა უფრო ახალგაზრდული გუნდი ვართ, მაგრამ ბრძოლა შეგვიძლია.

**— ანუ ჩემპიონობაზე ხელი აიღეთ?**

— ამას ვერ ვიტყვი. ვეცდებით, რაც შეიძლება კარგ შედეგს მივაღწიოთ. ჩემპიონები თუ გავხდებით, მაგას რა აჯობებს, მაგრამ ეს ძალიან ძნელი იქნება. რაც მთავარია, უბრძოლველად არავის არაფერს დავუთმობთ. რა გამოგვივა, სეზონის ბოლოს ვნახავთ.

**— მაინც ვინ მიგაჩნიათ ფავორიტებად?**

— „დინამო", „ლოკომოტივი", „ვიტ ჯორჯია" და „ტორპედო". ვფიქრობ, ამ ოთხი გუნდის დავაში სხვა ვერ ჩაერევა. ყველაზე დიდი შანსი ალბათ „დინამოს" აქვს, მაგრამ...

**— მაგრამ რა?**

— არ ვიცი, ვნახოთ. წინასწარ ლაპარაკი არ მინდა. ამ ოთხეულიდან ჩამოსაწერი ერთიც არ არის. მართალია, „ვიტ ჯორჯიადან" რამდენიმე ფეხბურთელი წავიდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მაინც ძლიერი გუნდი იქნება.

**— პირველ ტურში „ბათუმს" ეთამაშებით...**

— ჰოდა, ჩემპიონატი მოგებით უნდა დავიწყოთ. „ბათუმი" აუცილებლად უნდა დავამარცხოთ, მერე კი „დინამო" გველის.

**— უკვე „დინამოსთან" თამაშზე ფიქრობ?**

— არ მინდა, ასე გამოვიდეს, ჯერ „ბათუმია", მერე კი „დინამო". ორივე თამაშს დიდი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ.

**— ბოლოს, გაზაფხულზე „დინამო" ორჯერვე დაამარცხეთ...**

— ეგ უკვე წარსულია, თუმც იგივეზე ახლაც არ ვიტყოდი უარს. ყველანაირად ვეცდებით, რომ თბილისიდან კმაყოფილები დავბრუნდეთ.

**— ფრანგულ „ლანსზე" რას იტყვი? უეფას თასის კენჭისყრამ ნაღდად არ გაგიმართლათ...**

— რას ვიზამთ, „ლანსი" უკვე ჩვენი მეტოქეა და ვერაფერს შევცვლით. ჩვენი შანსები როგორიცაა, თავადაც ხვდებით, მაგრამ რაც შეგვეძლება, მოედანზე დავდებთ. მოგებაზე რა გითხრათ, უბრალოდ, შესაძლებლობების ზღვარზე უნდა ვითამაშოთ.

**— „ლანსის" თამაში არ გინახავს?**

— არა, მაგრამ ვიცი, რომ ძალიან ძლიერი გუნდია. ახლაც, სეზონის წინ, ბევრი ახალი ფეხბურთელი შეიძინეს. „რივერ პლეიტიდან" ფუერტესიც წაუყვანიათ. ერთი სიტყვით, ურთულესი მატჩი გველის, სხვა რა გზაა, გავალთ და ვითამაშებთ.

**ბაჩა შალამბერიძე**

# ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

**ირტიში** (ყაზახეთი) 1:2 ***ომონია*** *(კვიპროსი)* (0:0)
1:0 აგაევი (22), 1:1 რაუფმანი (63), 1:2 გეორგიუ (90)

***კაუნასი*** *(ლიტვა)* 4:1 **ტორსჰავნი** (ფარერები) (1:0)
1:0 ბენიუსისი (5), 1:1 რ. იაკობსენი (10), 2:1 კანჩელსკისი (37), 3:1 ოპიჩი (41), 4:1 ბენიუსისი (77)
გაძევება: რ. იაკობსენი (79, ტორსჰავნი)

***ლეოტარი*** *(ბოსნია)* 2:0 **გრევენმახერი** (ლუქსემბურგი) (0:0)
1:0, 2:0 კერკეზი (19, 83)
გაძევება: მილენკოვიჩი (31, ლეოტარი)

**სკონტო** (ლატვია) 3:1 ***სლიმა*** *(მალტა)* (0:2)
1:0 ბუიტკუსი (15), 2:0 ვერპაკოვსკისი (64), 3:0 სემიონოვსი (70), 3:1 ბრინკატი (90)
სკონტო: პიედელსი, მოროზსი, ზემლინსკისი, ნგუიმბატი, ლობანიოვსი (ძორდანიძე 90), დედურა, ბუიტკუსი, ვერპაკოვსკისი, ბლანკსი (კსანავიჩიუსი 46), სემიონოვსი, კალნინში (ლაგიევკა 77)
მწვრთნელი: ალექსანდრ სტარკოვი
1 500 მაყურებელი

**ფლორა** (ესტონეთი) 1:1 ***შერიფი*** *(მოლდოვა)* (0:1)
0:1 ნესტერიუკი (81), 1:1 ვიიკმიაე (88)
შერიფი: ხუტანი, ტესტიმიცანუ, პრიგანიუკი, თარხნიშვილი, ივანოვი (ნევსულესკუ 85), კ. ტუდორი (ფარიასი 84), ბორეცი, დადუ (ნესტერიუკი 72), ოდია, ბარისევი, ლაკუსტა
მწვრთნელი: იგორ ნაკონეჩნი
2 500 მაყურებელი

***ჰიკ*** *(ფინეთი)* 1:0 **გლენტორანი** (ჩრდ. ირლანდია) (0:0)
1:0 მაკელა (73)
გაძევება: ტურპინენი (84, ჰიკ)

***ბოჰემიანსი*** *(ირლანდია)* 3:0 **ბატე** (ბელარუსი) (0:1)
1:0 [illegible] (37), 2:0 ბრაიანი (45), 3:0 ქროუ (58)

**ბარი თაუნი** (უელსი) 2:1 ***ვარდარი*** *(მაკედონია)* (0:3)
1:0 ჯარმანი (1), 1:1 და კოშტა (61), 2:1 მორალი (63)

**რეიკიავიკი** (ისლანდია) 1:1 ***პიუნიკი*** *(სომხეთი)* (0:1)
0:1 მკრტჩიანი (73), 1:1 გუნლაუგსონი (813)

### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

მტკ (უნგრეთი) — ჰიკ (ფინეთი)
პიუნიკი (სომხეთი) — ცსკა (ბულგარეთი)
კაუნასი (ლიტვა) — სელტიკი (შოტლანდია)
ლეოტარი (ბოსნია) — სლავია (ჩეხეთი)
შერიფი (მოლდოვა) — შახტარი (უკრაინა)
ჟილინა (სლოვაკეთი) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)
ბოჰემიანსი (ირლანდია) — რუსენბორგი (ნორვეგია)
მარიბორი (სლოვენია) — დინამო (ხორვატია)
ცსკა (რუსეთი) — ვარდარი (მაკედონია)
რაპიდი (რუმინეთი) — ანდერლეხტი (ბელგია)
პარტიზანი (სერბეთი) — იურგორდენი (შვედეთი)
ვისლა (პოლონეთი) — ომონია (კვიპროსი)
კოპენჰაგენი (დანია) — სლიმა (მალტა)
ტირანა (ალბანეთი) — გრაცერი (ავსტრია)

*პირველი მატჩები — 30 ივლისს, საპასუხონი 6 აგვისტოს გაიმართება*

# მალტელებმა სკონტოური დაუშალეს... მოლდოვა შერიფ-შარაფშია

*ყოფილი საბჭოეთის რვა გუნდიდან მეორე ეტაპზე სამმა გააღწია. ლიტვის „კაუნასმა" ფარერულ „ტორსჰავნს" იოლად სძლია, „შერიფი" და „პიუნიკი" კი სტუმრად გატანილი გოლების წყალობით გაძვრნენ. სხვებზე მეტად გამოცდილმა რიგის „სკონტომ", ალბათ თავისდა გასაკვირად, გზა მალტურ „სლიმას" დაუთმო. თბილისის „დინამოზე" კი სიტყვას ნულარ გავაგრძელებთ*

**რიგაში** შეხვედრის დასრულებამდე ოცი წუთით ადრე მასპინძლები 3:0 იგებდნენ, მაგრამ...

ანგარიში მე-15 წუთზე გაიხსნა. ლიტველმა ლეგიონერმა ბუიტკუსმა მეტოქის კარში თავურით შეაგდო.

პირველ ნახევარში დამხვდურებმა მეტის გატანა ვერ მოახერხეს და საქმე შესვენების შემდეგ გააგრძელეს. მეორე ტაიმის შუაწელში კსანავიჩიუსის დარტყმული მეკარემ მოიგერია, მაგრამ ვერპაკოვსკისმა დაამატა — 2:0.

მალე „სკონტო" კაცნაკლული დარჩა. ვიქტორ მოროზს მსაჯმა ორი ყვითელი ბარათი დაუთვალა და გააძევა. მიუხედავად ამისა, რიგელმა სემიონოვსმა მალტელთა მცველების შეცდომით ისარგებლა და ანგარიში სამამდე გაზარდა.

მასპინძლებმა თავი დაიმშვიდეს და ბოლო წუთზე გოლი ყლაპეს. „სკონტოს" საჯარიმოსთან, დაახლოებით 22 მეტრში, სტუმარი ფეხბურთელი წააქციეს და მსაჯმა საჯარიმო დარტყმა დანიშნა. ბურთთან ჯო ბრინკატი მივიდა და კარში ჩაასრიალა.

„მე შოკში ვარ. ეს კატასტროფაა. უარესს ვერც წარმოვიდგენდი" — თქვა რიგელთა მწვრთნელმა ალექსანდრ სტარკოვმა.

ბელარუსულმა ბატე-მ ირლანდიელთა ფლანგურ შეტევებს თითქმის ერთი ტაიმის მანძილზე გაუძლო. ბურთი გამუდმებით სტუმართა საჯარიმოს დასჩხაოდა. შესვენებამდე რვა წუთით ადრე კი „თეთრ" რუსებს კისრები მოეგრიხათ. სტივენ კეფრიმ ანგარიში გახსნა და იქვე ბატე-ს კარში მეორე გოლიც გავიდა.

მეორე ტაიმში ბატე-მ გოლის გატანა მოიწადინა, მაგრამ მათი სურვილი ბოჰემიანსელმა გლენ ქროუმ ჩააცხრო, რომელიც ეროვნული ნაკრების წევრია. მესამე გაშვებული გოლის შემდეგ სტუმრებს ხასიათი საბოლოოდ წაუხდათ და მოწინააღმდეგის კარისკენ აღარც კი გაუწევიათ.

ესტონეთში „ფლორამ" მოლდოვურ „შერიფს" უმასპინძლა. პირველ ტაიმში გაჩაღებული ფეხბურთით ტალინელმა ქომაგმა ფრიად ისიამოვნა. საგოლე მომენტები ორივე კართან ბლომად შეიქმნა, მაგრამ ბადეში ბურთის შემგორებელი მოედანზე არ აღმოჩნდა.

შესვენების შემდეგ მეტად გამოცდილმა „შერიფმა" მატჩის სადავეები მოიგდო. დაახლოებით ნახევარი საათი თავის გემოზე იბურთავა. მაგრამ უხეიროდ.

შეხვედრის ბოლოს მასპინძლებმა ორი ასპროცენტიანი მომენტი გაანიავეს. ჯერ კლავინმა, მერე კი ზახოვაიკომ კარში უშნოდ დაჰკრეს. ბოლოს ისევ მოლდოველებმა იყოჩაღეს. ნესტერიუკმა მეტოქეს ბურთი წაჰგვარა და ხარიხის ქვეშ შეაძვრინა. „ფლორამ" კი გაათანაბრა, მაგრამ კიდევ ორი გოლის გამტანი ნამდვილად არ იყო.

უელსში „ბარი თაუნმა" ისე შეუტია მაკედონიურ „ვარდარს", რომ იქაურებს ეგონათ, არიქა, მეტოქეს გავანადგურებთო.

ანგარიში პირველივე წუთზე გაიხსნა და მასპინძელთა იმედიც გაორკეცდა. კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ბარელთა კაპიტანმა ლი ჯერმანმა თავური ჰკრა და უელსელები დაწინაურდნენ.

პირველ ტაიმში „ვარდარის" დაცვა აღარ შემცდარა, მეორეში კი სტუმართა ბრაზილიელმა ფორვარდმა ოლივეირა და კოშტამ გაქვითა და შემდეგ ეტაპზე გამსვლელის ვინაობა საბოლოოდ გაარკვია.

შეხვედრის მიწურულს ჯეიმი მორალიმ „ბარი თაუნის" გამარჯვების გაიტანა, მაგრამ სულ ეს იყო, რაც დამხვდურებმა შეძლეს.

რეიკიავიკში სომხური „პიუნიკი" ერთბურთიანი ფორით ჩავიდა და საბოლოოდ საქმე სათავისოდ მოაკვარახჭინა. მეორე ნახევრის შუაწელში ანგარიში აგვან მკრტჩიანმა გახსნა, ისლანდიელებმა კი მატჩის დასრულებამდე ათიოდ წუთით ადრე თერთმეტმეტრიანით გაათანაბრეს.

ლატვიური „კაუნასი" ფარერელმა მეთევზეებმა ოდნავ შეაშინეს. ბალტიელები რიკარდას ბენიუსისის გოლით მალევე დაწინაურდნენ, მაგრამ „ტორსჰავნის" როგვი იაკობსენმა უზადო თავურით გაათანაბრა.

დაახლოებით ნახევარი საათი დასჭირდათ დამხვდურებს კვლავ დასაწინაურებლად. მერე ზედიზედ ოთხი მიართვეს მეთევზეებს და ახლა გლაზგოში ჩასვლა მოუწევთ.

„მე „სელტიკზე" უფრო ვფიქრობდი, ვიდრე ამ მატჩის მოგებაზე" — თქვა „კაუნასის" მწვრთნელმა სერგეი ბოროვსკიმ. ისე, შარშან „სელტიკმა" ერთი ლიტვური გუნდი გაამწარა, „სუდუვას" 8:1 მოუგო და კაუნასელებსაც უკეთესი დახვედრის იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

ჩემპიონთა ლიგისკენ მიმავალ გზაზე ყაზახთა დებიუტი შედგა. კვიპროსში მიღწეული უგოლო ფრის შემდეგ გაევროპელებულ აზიელებს მეორე ეტაპზე გასვლის საკმაოდ კარგი შანსი ჰქონდათ, მაგრამ გამოცდილება არ ეყოთ.

პირველი ტაიმის შუაში მუსლიმ აგაევმა ანგარიში გახსნა. მასპინძლებმა ამ სხვაობის შენარჩუნება მოიწადინეს და დაისაჯნენ. შესვენების შემდეგ რაუფმანმა გაათანაბრა, ბოლო წუთზე კი გეორგიუმ გამარჯვებისა შეაგდო და „ომონიას" გზა გაუკვალა.

**ვაჟა ხუციშვილი**



კაუნასი — ტორსჰავნი. სანამ გააძევებდნენ, ფარერელთა გოლის გამტანი როგვი იაკობსენი ლიტველთა მეორე გოლის ავტორმა ტომას კანჩელსკისმა აალრიალა





სკონტო — სლიმა. მალტელი ჯეფრი ჩეტკუტი (მარცხნივ) ლატვიელ მეგოლე მარის ვერპაკოვსკისს ბოლომდე არ დანებდა



ლეოტარი — გრევენმახერი. ლუქსემბურგელმა დანიელ ჰუსმა (მარცხნივ) ბოსნიელ დუშან კერკეზს ვერაფერი მოუხერხა და დუბლიც მიათვლევინა

## 2003 წლის ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

ნახევარფინალი

# პაულუ და პედრო

## კარლოსის ანგელოზები



პორტუგალიელთა მეკარე პაულუ რიბეირუმ ორი პენალტი მოიგერია

### პორტუგალია ნ.შდ.დ. (3:3) ავსტრია

არაჩვეულებრივი მატჩი იყო. პორტუგალიელები აგებდნენ და გაათანაბრეს. მეკარე პაულუ რიბეირუმ სასწაულები ჩაიდინა, კაცნაკლულმა ავსტრიელებმაც იბრძოლეს, მაგრამ საბოლოოდ ეს დრამატული შეხვედრა კარლოს ალბერტო ლოპეს დინისის გუნდმა მოიგო.

ავსტრიელებმა მძლავრად დაიწყეს და უკვე ნახევარ საათში ორბურთიანი სხვაობით იგებდნენ. პორტუგალიელთა კარში გოლები ოთხწუთიან მონაკვეთში გავიდა და ორივე კლაუს სალმუტერმა შეაგდო. ნახევარმცველმა ჯერ მახვილი კუთხიდან გაიტანა, მერე კი რენე შიკლერის ფლანგური გარღვევა დააგვირგვინა.

კარლოს დინისის ბიჭები მსგავს ვითარებაში ჯგუფში ნორვეგიასთან მატჩშიც აღმოჩნდნენ. მაშინაც 0:2 აგებდნენ, მაგრამ სკანდინაველებთან გათანაბრება მოახერხეს.

პორტუგალიელები არც ამჯერად გატყდნენ. მათ მალევე შეძლეს ერთი გოლის გაქვითვა. ტომას ლეშნერმა საჯარიმოში პაულო სერჟიო დასცა და უგო ალმეიდამ თერთმეტმეტრიანი უზადოდ შეასრულა.

იშტაზე მოსულმა სამხრეთელებმა ჯიგრიანად შეუტიეს და ერთ საპასუხოს მეორეც მიაყოლეს. ორგანისტამ ოციოდ მეტრიდან დარტყმული ბურთი რობერტ ალმერის კარის მარჯვენა კუთხეში ჩააჭედა.

შესვენებამდე ავსტრიელებს დაწინაურება ისევ შეეძლოთ. დანიელმა რომან კიენასტი საპენალტედ წააქცია. თერთმეტმეტრიანის შესრულება მარტინ ლასნიგმა ითავა, მაგრამ პაულუ რიბეირუმ იყოჩაღა.

მეორე ტაიმის დასაწყისში პაულო სერჟიომ მოწინააღმდეგე მესამე გოლით დაამწუხრა, რომელიც კუთხურს მოჰყვა.

მალე ავსტრიელებმა გათანაბრების შანსი გაანიავეს. პაულუ რიბეირუმ ამჯერად კლაუს სალმუტერს არ გაატანინა — მეორე პენალტი მოიგერია.

პორტუგალიელთა ფინალისტობას თითქოს აღარაფერი ემუქრებოდა. განსაკუთრებით მეტოქის ფეხბურთელის, მარიო ბოლტერის გაძევების შემდეგ, მაგრამ ლუკას მიოსნერის გოლმა მატჩის დამატებით დროში გადაყვანა მაინც შეძლო.

კარლოს დინისმა ფილიპე ოლივეირა მეორე ფორვარდით, პედრო პერეირათი შეცვალა და აშკარად გაუმართლა.

პორტუგალიელებმა პირველ დამატებით ტაიმშივე დააჩოქეს მოწინააღმდეგე. ჯერ პაულო სერჟიომ გაიტანა მატჩში თავისი მეორე გოლი, მერე კი შეცვლაზე შესულმა პედრო პერეირამ დუბლი გაიფორმა და ავსტრიელები მიაჩუმა.

„ჩემმა ბიჭებმა უდიდესი ბრძოლის უნარი გამოავლინეს. შეიგნეს, რომ ეს მატჩი მათი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა იყო. 0:2-ზე ვერავინ იფიქრებდა მოვლენების მსგავს განვითარებას, მაგრამ მე გულის სიღრმეში ნამდვილად მჯეროდა“ — თქვა კარლოს დინისმა.

### იტალია 1:0 ჩეხეთი

ჩეხურ-იტალიური ნახევარფინალი „სკუადრა აძურას“ გამარჯვებით დასრულდა. აპენინელებმა ერთადერთი გოლის გატანა მცველების შეცდომის შედეგად მეორე ტაიმის დასაწყისში მოახერხეს.

ამ მატჩისთვის იტალიელებს ტრავმამოშუშებული კაპიტანი, ანდრეა მანტოვანი დაუბრუნდათ, რომელმაც მანამდე ჯგუფში ორი შეხვედრა გამოტოვა. ჩეხებს თავის მხრივ დისკვალიფიკაციამოხდილნი, რომან ჰუბნიკი და ადამ ვარადი შეემატნენ. მოკლედ, გუნდები ვადუცში უძლიერესი შემადგენლობებით წარსდგნენ.

პირველ ნახევარში მეტოქეებმა არ გარისკეს და ერთმანეთის კარებს მცირე ძალებით უტევდნენ. ტაიმის შუაწელში იტალიელები უფრო ყოჩაღად გამოიყურებოდნენ და კომბინაციური თამაშიც უკეთ ააწყვეს. თუმცა ეს მხოლოდ ჩეხთა საჯარიმოს მისადგომებამდე ჭრიდა, მერე კი კარგად ორგანიზებული დაცვის გავლა ჭირდა. „სკუადრა აძურას“ მოწინააღმდეგე ძირითადად კონტრშეტევების იმედზე იყო, მაგრამ პაოლო ბერეტინის შეგირდებიც ჭკვიანურად უმკლავდებოდნენ მეტოქის იერიშებს.

შესვენებამდე სანახავი ბევრი არაფერი ყოფილა. ლუიჯი დელა როჩამ ალბერტო აკილანის ჩაწოდებულ ბურთს თავი ძლიერად კი დაჰკრა, მაგრამ ჩეხთა მეკარე ტომაშ ჩერნიმ მოიგერია. საპასუხოდ ალეშ ნეუვირტს მიეცა ხელსაყრელი მომენტი, თუმცა ათიოდ მეტრიდან უხეიროდ დაარტყა.

მეორე ტაიმი იტალიელებმა მეტი მონდომებით დაიწყეს, ზედიზედ ორჯერ ააფორიაქეს მოწინააღმდეგე. ჯერ საჯარიმოს გარედან აკილანის ჩახვეულმა ბურთმა აანერვიულა ჩერნი, მერე კი მეკარემ დელა როჩას დარტყმული გაჭირვებით მოიგერია.

„სკუადრა აძურამ“ შეტევის ტემპი არ გაანელა და ჩეხთა მცველ ლუკაშ ნაჰტმანს შეცდომა დააშვებინა. მოულოდნელად წაქცეულმა, მეკარისთვის ბურთის დაბრუნება გადაწყვიტა, რითაც ჯანპაოლო პაცინიმ ისარგებლა და ჩეხები გოლით დასაჯა.

„შესანიშნავი ფინალი გველის — თქვა გამარჯვებულთა თავკაცმა პაოლო ბერეტინიმ — იტალია პორტუგალიის წინააღმდეგ, ეს ხომ მშვენიერია. ერთმანეთს კარგად ვიცნობთ, რადგან ჯგუფურ ეტაპზეც შევხვდით. პორტუგალიელებს ბრწყინვალე თავდამსხმელები ჰყავთ, რაც შეეხება ჩეხებთან მატჩს, ჩვენთვის დამახასიათებელი ფეხბურთი ვითამაშეთ და ვფიქრობ, რომ დამსახურებულად მოვიგეთ“.

„ერთადერთი შეცდომა დავუშვით დაცვაში და ასე ძვირად დაგვიჯდა“ — თავის მხრივ დასძინა ჩეხების მწვრთნელმა მიხალ ბალეკმა.

**გაგა ხუციშვილი**



იტალიელთა საჯარიმოში ჩოჩქოლს გოლი არ მოჰყოლია




**ინგლისელმა** ნაიჯელ უინტერბერნმა 39 წლის ასაკში კარიერის დასრულება გადაწყვიტა. შეგახსენებთ, რომ უინტერბერნმა კარიერის უმეტესი ნაწილი ლონდონის „არსენალში“ გაატარა, ხოლო ბოლო სეზონში „ვესტ ჰემის“ რიგებში თამაშობდა. „მეთოფეებთან“ ერთად იგი ქვეყნის ჩემპიონი გახდა და მოიპოვა ინგლისის თასი. უინტერბერნი თავისი საკლუბო კარიერის მანძილზე „უიმბლდონშიც“ თამაშობდა და იყო ეროვნული ნაკრების წევრი. „ვფიქრობ, ამ ასაკში პრემიერლიგაში მაღალ დონეზე თამაში აღარ შემიძლია. ყოველთვის ვამბობდი, რომ წავიდოდი მაშინ, როდესაც ამას გავითვითცნობიერებდი“ — განაცხადა მან.

**მაკედონიის ეროვნული გუნდის ამჟამინდელი მწვრთნელი ნიკოლა ილიევსკი ევრო 2004-ის შესარჩევი ეტაპის დასრულების შემდეგ პოსტს დატოვებს. ამის შესახებ განცხადება მაკედონიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჰარალამპიე ჰაძირისტესკიმ გააკეთა: „გადავწყვიტეთ, ილიევსკისთან კონტრაქტი გავწყვიტოთ, რადგან უკმაყოფილონი ვართ ნაკრების თამაშით. თუმც იგი თავის პოსტზე ევრო 2004-ის საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლომდე დარჩება“. ილიევსკის თავკაცობით მაკედონიამ სამი თამაში მოიგო, ხუთი ფრედ დაასრულა, ექვსჯერ კი დამარცხდა. მაკედონია 20 აგვისტოს ამხანაგურად გაეჯიბრება ალბანეთს, ხოლო ჯგუფში დარჩენილ ორ შეხვედრას სექტემბერში ინგლისთან და სლოვაკეთთან გამართავს, მაგრამ მისი ევროპის ჩემპიონატზე თამაში უკვე გამორიცხულია. როგორც ჩანს, ჰაძირისტესკი სწორედ პორტუგალიაში გამგზავრებას გეგმავდა.**

**ინგლისური** „ბოლტონი“ წინა სეზონში პრემიერლიგიდან გავარდნას ძლივს გადაურჩა და მომავალი სეზონისთვის ახალი ძალები ესაჭიროება. კლუბმაც „საუთჰემპტონიდან“ კევინ დევისი გადაიბირა და 26 წლის თავდამსხმელს ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. „გასული ორი წლის მანძილზე საშუალება არ მომეცა, საკუთარი შესაძლებლობები სრულად გამომევლინა და მიხარია, რომ ახლა ამის შანსი მექნება. ბევრი რამ მაქვს დასამტკიცებელი“ — აღნიშნა დევისმა.

**არგენტინული „რივერ პლეიტის“ 33 წლის ნახევარმცველ ლეონარდო ასტრადას მამა, რუბენი, პოლიციელებმა ტყვეობიდან გაათავისუფლეს. დაახლოებით ერთი თვის წინ რუბენ ასტრადა ფულის გამოძალვის მიზნით ბუენოს აირესის ჩრდილოეთ რაიონ სან ისიდროში საკუთარი ავტომობილიდან გაიტაცეს. როგორც პოლიცია იუწყება, ორი დამნაშავე გამოსასყიდის (რომლის რაოდენობაც არ ხმაურდება) გადაცემის დროს დაიჭირეს. „მამაჩემი ახლა ნორმალურად არის და ნელ-ნელა შოკიდან გამოდის“ — განაცხადა ლეონარდო ასტრადამ. 2001 წლიდან მოყოლებული დღემდე, არგენტინაში მწვავე ეკონომიკური კრიზისია და სპორტსმენების ოჯახის წევრებიც სწორედ მას მერე არიან საფრთხეში. შეგახსენებთ, რომ შარშან 24 საათის განმავლობაში ხუან რამონ რიკელმეს ძმაც იყო გატაცებული. მაშინ ამ უკანასკნელმაც გადაიხადა გამოსასყიდი, ხოლო პოლიციამ გამტაცებლები ვერ დააკავა.**

**იტალიელი** ვეტერანი პაოლო დი კანიო ჯერჯერობით კვლავ კლუბის ძიებაშია, მაგრამ ყოფილი ვესტჰემელის ახალი ნავსაყუდელი სავარაუდოდ, „ლიდსი“ იქნება. ფეხბურთელის აგენტმა მატეო როჯიმ შემდეგი განცხადება გააკეთა: „ჩვენ მოლაპარაკებებს „ლიდსთან“ და „სიენასთან“ ვაწარმოებდით. ჩემი კლიენტისთვის უმჯობესია, კარიერა ინგლისში გააგრძელოს“. ერთადერთ ხელის შემშლელ ფაქტორად შეიძლება დი კანიოს მაღალი ხელფასი იქცეს (რომელიც თვეში დაახლოებით 300 ათას დოლარს ითხოვს). შეგახსენებთ, რომ ფეთქებადი ხასიათის მქონე იტალიელით ერთხანს „მანჩესტერ იუნაიტედი“ სერიოზულად იყო დაინტერესებული, თუმც საბოლოო შეთანხმების მიღწევა არ მოხერხდა.

**ინგლისური „სანდერლენდის“ პრემიერლიგიდან გავარდნის შემდეგ კლუბი პირველმა წამყვანმა მოთამაშემ, კევინ მაკანმა დატოვა. იგი 6,2 მილიონი დოლარის სანაცვლოდ „ასტონ ვილაში“ გადაბარგდა. თავის მხრივ, მაკანი ბირმინგემელთა ახალი თავკაცის, დევიდ ოლირის პირველი შენაძენია. მაკანი „სანდერლენდმა“ 1998 წელს 800 ათას დოლარად „ევერტონიდან“ იყიდა. აღვნიშნოთ ისიც, რომ გარდა კევინ მაკანისა, „ლაითიდან“ წასვლის კანდიდატებად კევინ ფილიპსს, ტორეანდრე ფლოს, ტომას სორენსენს, კლაუდიო რეინასა და ემერსონ ტომეს მიიჩნევენ. ამას კი ორი მთავარი მიზეზი აქვს. პირველი: ფეხბურთელებს პირველ დივიზიონში თამაში არ სურთ და მეორე: „სანდერლენდის“ ფინანსური მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა.**

**იტალიურმა** „ბოლონიამ“ 29 წლის ფეხბურთელები — თავდამსხმელი ფაბიო პეკია და ბრაზილიელი მცველი ჟუარესი შეიძინა. პეკია წინა სეზონში სერია B-ში გავარდნილი „კომოს“ ღირსებას იცავდა, ხოლო ჟუარესი უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაში „ლეჩეს“ ეხმარებოდა. ახლა ორივე ორი წლის მანძილზე „ბოლონიაში“ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ ფრანჩესკო გვიდოლინის გუნდში „ინტერიდან“ დომენიკო მორფეო გადავიდა. გარდა ამისა, „ბოლონიამ“ „მილანიდან“ დალა ბონაც ინათხოვრა.

# აი, შკვე ქალებიც გვინდა!
## ტექნიკა აქვთ, მთავარია, გაუძლონ

**თუ გაგიჟებაა**, გაგიჟება იყოს! იტალიურმა „პერუჯამ“ განაცხადა, რომ თავის შემადგენლობაში, სერია A-ში, ერთი სიტყვით იქ, სადაც ჯერ არს, კაცების მხარდამხარ ქალის თამაშს აპირებს.

კლუბის პრეზიდენტი, ლუჩანო გაუჩი: „ექვს თვეში ჩვენი წითელი მაისურით ქალს იხილავთ. გარწმუნებთ, „პერუჯა“ იქნება პირველი გუნდი დედამიწის ზურგზე, რომლის შემადგენლობაშიც ქალები და კაცები ერთად ითამაშებენ.“

რით იყო აქამდე ცნობილი ეს კლუბი? ალბათ, ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელების აღმოჩენით. რისი წყალობითაც წინა სეზონში მე-10 ადგილზე გავიდა და...

თუმცა ეგზოტიკური კონტრაქტებიც არ არის პერუჯელთათვის უცხო. მაგალითად, დიდი ხანი არ არის, რაც მათ ხელშეკრულება გაუფორმეს 28 წლის ალ-საადი კადაფის, ლიბიელი დიქტატორის, მუამარ კადაფის შვილს, რომელიც მათთან ორი წელიწადი იბურთავებს.

დღეს, ლუჩანო გაუჩის სკაუტები გერმანიაში, სერბეთსა და ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებში გამალებით ეძებენ ქალ ფეხბურთელს.

„ამ ქვეყნის ქალები ტექნიკურადაც ძლიერები არიან და აქვთ კიდევ ერთი საგანგებო თვისება — ფიზიკური გამძლეობით გამოირჩევიან. ჩვენთან, იტალიაში, ტექნიკური ქალების პრობლემა ნამდვილად არ არის, მაგრამ გამძლეობა ნამდვილად საშური თვისებაა“ — ამბობს გაუჩი.

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით იტალიის ფეხბურთის ფედერაციას ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია, გაუჩი კი დასძენს:

„ნამდვილად გავოცდები, ვინმე თუ ალიაქოთს ატეხს, ჯერ ერთი, ნუ დავივიწყებთ, რომ კანონის თანახმად ქალისა და კაცების ერთად თამაში აკრძალული არ არის. მეორეც, ქალთა და კაცთა უფლებები თანაბარია და ეს ფეხბურთსაც ისევე ეხება, როგორც საქმიანობის სხვა სფეროებს. და, გარწმუნებთ, თუ ერთი პრეცენდენტი მოხდება, მერე მთელი მსოფლიოს ქალები სხვანაირად შეხედავენ მოვლენებს.“

**ბაკუნა ძედია**



ლუჩანო გაუჩი და ალ-საადი კადაფი ახალ ქალებს დაერევიან




ბორიელომ, ანჩელოტიმ, გალიანიმ, მალდინიმ და კაფუმ „მილანის“ ახალი მაისური წარადგინეს

# როსონერი — ბიანკონერი ამერიკულ ტყემლის ბაღში

**კალჩოს** ახალი სეზონი ოფიციალურად 3 აგვისტოს გაიხსნება ფეხბურთის „ძაან მცოდნე“ ნიუ იორკში. ბოლო ჩემპიონთა ლიგის ფინალისტები იტალიის სუპერთასისთვის იბრძოლებენ. იცით, „იუვენტუსი“ სკუდეტოს მფლობელია, „მილანი“ კი კოპა იტალიისა.

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ორი ტიტულიანი გუნდის პაექრობის განმსჯელად ღირსეული და სახელიანი თავზოტორა ანკონელი, პროფესიით ეკონომისტი, 45 წლის პიერლუიჯი კოლინა მიავლინა. სწორედ კოლინა გაუძღვება ნიუ იორკის „ჯაინთსის“ გვირაბიდან მოედნისკენ გუნდებს.

„იუვენტუსმაც“ და „მილანმაც“ თითქმის ერთდროულად დაიწყეს ახალი სეზონისთვის სამზადისი და ორივე გუნდი სხვებზე ადრეც დაინომრა.

დღეს „მილანზე“ ვთქვათ, ხვალ კი „იუვეზე“ მოგახსენებთ.

პირველი — „შავ-წითლებს“ ამუნიცია შეეცვალათ. უფრო ზუსტად კი, „ადიდასმა“ დიზაინი განაახლა. გაქრა „ოპელის“ წარწერაც. გერმანული საავტომობილო კონცერნი კვლავაც რჩება „მილანის“ ერთ-ერთ კომპანიონად, უბრალოდ, MERIVA „ოპელის“ უახლესი მოდელის სახელია.

მეორე — ჩემპიონთა თასის მფლობელებმა ძირითადი ბირთვი მთლიანად შეინარჩუნეს და ფეხბურთელებს კლუბის შეფობა ახალ კონტრაქტებსაც უფორმებს. ახალ ხელშეკრულებებს ვადა 2008 წლამდე აქვს. იცით, აბიატიმ, ამბროზინიმ, პირლომ, ზეედორფმა, ინძაგიმ და გატუზომ უკვე მოაწერეს ხელი. რიგში კი დგანან კალაძე, დიდა, შევჩენკო, ნესტა...

„მილანმა“ სულ სამი ფეხბურთელი შეიმატა, კაფუ „რომადან“, პანკარო „ლაციოდან“ და „ემპოლიში“ განათხოვრებული ბორიელო დაიბრუნა.

სამაგიეროდ ადრიანო გალიანიმ კლუბიდან უსარგებლო ფეხბურთელების მთელი დასტა დაითხოვა: ჰელვეგი, ბა, შამოტი, დალა ბონა, ალბერტინი, ხოსე მარი, კოლოჩინი, დონატი, დონადელი, კუტუზოვი... რამდენიმე ახალგაზრდაც იჯარის წესით იტალიის საშუალო კლუბებს დაურიგა, ეგებ გამოგადგეთო.

და მესამე — „როსონერი“ დაინომრა. 2003-2004 წლების „მილანის“ განაცხადში 25 ფეხბურთელია. მათ სრულ სიას ქვემოთ გაეცნობით. აქ მხოლოდ ახალწვეულთა მუდმივ ნომრებზე გეტყვით. კაფუმ დანიელი ჰელვეგის 2-ნომრიანი მაისურა გადაიბარა, პანკარომ შამოტის 16-იანი, ბორიელო 18-ს ჩაიცვამს. 18-ნომრიანი მაისურა შარშან მეკარე კრისტიან აბიატის ემოსა, მან კი ახლა 77 ისურვა (ამ წელსაა დაბადებული). სხვა რა? ჩვენი კახა კალაძე კვლავაც 4 ნომერია.

**გიორგი ვაჩნაძე**

# რას სვამდი, ბიჭო, ცხრა წლის წინ?

**„იუვენტუსის“** ვარსკვლავის, ალესანდრო დელ პიეროს დედამ, ბრუნა ფურლანმა „გაძეტა დელო სპორტს“ განუცხადა:

„ორშაბათს გუნდის საწვრთნელ ცენტრში შვილის სანახავად მივედი, მაგრამ ამბავი დამახვედრეს, რომ ტურინში, ჩვენების მისაცემად გამოუძახიათ. გარწმუნებთ, ალექსს ცუდი არასდროს არაფერი ჩაუდენია. იგი მხოლოდ ამ დაუსრულებელი პროცესის ერთ-ერთი მსხვერპლთაგანია. თუმცა არ ვღელავ, რადგან ვიცი, რომ საკუთარი თავის დაცვა შეუძლია. დიახ, ის სუფთა ბიჭია და გარშემოც ის ხალხი ახვევია, ვინც იცის, რას აკეთებს. მასზე კლუბიც ზრუნავს. ნამდვილად არის მთელი რიგი საკითხებისა, რომლებშიც შვილს მე ისე ვერ დავეხმარები, როგორც „იუვენტუსი“.

„ის დაუსრულებელი საქმე“ კი სხვა არაფერია, თუ არა ყბადაღებული დოპინგის საქმე, რომლის ძიების პროცესშიც, უფრო სწორად კი, რაც საქმე სასამართლოს გადაეცა, ანუ 2002 წლის იანვრიდან მოყოლებული, 150 მოწმე დაიკითხა. ამ პროცესმა უნდა დაადგინოს, რა ხდებოდა 1994 წლის ივლისიდან 1998 წლის სექტემბრამდე ანუ „იუვეს“ ყველაზე წარმატებულ პერიოდში. აძლევდნენ თუ არა კლუბის ექიმები მოთამაშეებს აკრძალულ პრეპარატებს.

დელ პიერო „იუვენტუსში“ „პადოვადან“ 1993 წელს გადავიდა და მას მერე ტურინშია.

**ბაკუნა ძედია**




ალესანდრო დელ პიერო 150 მოწმეს შორის მოხვდა

## AC Milan 2003/04




### მეკარეები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვალერიო ფიორი | 27.04.69 |
| 12 | დიდა | 07.10.73 |
| 77 | კრისტიან აბიატი | 08.07.77 |

### მცველები

| | | |
|---|---|---|
| 2 | კაფუ | 07.06.70 |
| 3 | პაოლო მალდინი | 26.06.68 |
| 4 | **კახა კალაძე** | 27.02.78 |
| 13 | ალესანდრო ნესტა | 19.03.76 |
| 14 | დარიო შიმიჩი | 12.11.75 |
| 16 | ჯუზეპე პანკარო | 26.08.71 |
| 19 | ალესანდრო კოსტაკურტა | 24.04.66 |
| 24 | მარტინ ლაურსენი | 26.07.77 |
| 25 | როკე ჟუნიორი | 30.09.76 |

### ნახევარმცველები

| | | |
|---|---|---|
| 5 | ფერნანდო რედონდო | 06.07.69 |
| 8 | ჯენარო გატუზო | 09.01.78 |
| 10 | მანუელ რუი კოშტა | 29.03.72 |
| 11 | რივალდო | 19.04.72 |
| 20 | კლარენს ზეედორფი | 01.04.76 |
| 21 | ანდრეა პირლო | 19.05.79 |
| 23 | მასიმო ამბროზინი | 29.05.77 |
| 27 | სერჟინიო | 27.06.71 |
| 32 | კრისტიან ბროკი | 30.01.76 |

### თავდამსხმელები

| | | |
|---|---|---|
| 7 | ანდრეი შევჩენკო | 29.09.76 |
| 9 | ფილიპო ინძაგი | 09.08.73 |
| 15 | იონ დალ ტომასონი | 29.08.76 |
| 18 | მარკო ბორიელო | 18.06.82 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბაიერნმა დეპორტივოს ამოცანა იოლად ამოხსნა
# პასუხი: 21 000 000



„ბაიერნმა" წინა ჩემპიონთა ლიგაში თავისსავე დამაქცევარ როი მაკაის მაზანდა აუწია

**ᲒᲐᲚᲘᲡᲘᲣᲠᲘ** „დეპორტივოს" ბერმუდის სამკუთხედი (მაკაი, ტრისტანი, ლუკე) უკვე აღარ არსებობს. გუშინ ამ მათემატიკური დილემის მთავარი წევრი გაიშიფრა — საბოლოოდ გადაწყდა, რომ როი მაკაი მიუნხენის „ბაიერნში" მიდის. ალემანური სუპერკლუბის 21-მა მილიონმა ევრომ ლაკორუნიელთა ყოყმანს ბოლო მოუღო — ჰოლანდიელი ბუნდესლიგას მიაშურებს, ხოლო „დეპორში" ბურთი და მოედანი მის მოქიშპე დიეგო ტრისტანს დარჩება.

გეხსომებათ, თავდაპირველად მაკაის ბავარიული გზები ფრიად ბინდით იყო მოცული, რადგან გალისიურ კლუბს 2002-03 წლების სეზონის „ოქროს ბუცის" მფლობელის დაკარგვა არამც და არამც არ უნდოდა, თანაც „ბაიერნის" აგენტები სატრანსფერო ვაჭრობის საწყის ეტაპზე ოდენ 15 მილიონ ევროს სთავაზობდნენ. მერე გერმანელებმა უფრო გულუხვად გაიკრეს ჯიბეზე ხელი და აუგუსტო სესარ ლენდოიროც მოლბა — ესპანური „მარკას" გუშინდელი ცნობით, როი მაკაისა და გერმანიის ჩემპიონს შორის კონტრაქტი პრაქტიკულად უკვე გაფორმებულია და ახლა მხოლოდ მისი დეტალების დახვეწაზე მუშაობენ.

ნიდერლანდელი გოლეადორის ჩრდილოეთს გამგზავრება გალისიელთა ბასკი დამრიგებლის, ხავიერ ირურეტასთვის მძიმე დანაკლისი იქნება. სულ ახალახან, იქაური მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში მწვრთნელი იმედიანად აცხადებდა, მაკაი „დეპორტივოს" არ დატოვებსო და ახლა ეს მისთვის მეტად უსიამოვნო ამბავი მეხივით დაატყდა თავს.

თავად სადავო მობურთალი კი სატრანსფერო საქმეებს ჯერჯერობით ფრთხილად ეკიდება და მათ საქვეყნოდ გახმაურებას ერიდება. ესე იგი, რა გამოდის: „დეპორტივო" თავის მთავარ იმედს კარგავს. დიეგო ტრისტანი მეცხრე ცაზე იმყოფება (მაკაის ექადნებოდა, გალისიიდან ან შენ წახვალ, ან მეო), ხოლო ჯოვანი ელბერს მაღვიძარას დილის 5.30-ზე დაყენება მოუწევს (იფიცებოდა, ოღონდ როი მაკაი გადმოვიდეს ჩვენთან და პირადად შევეგებები მიუნხენის აეროპორტში, თუგინდ დილის 6 საათი იყოსო).

ბრაზილიელი ჯალმინია კი თავის აწ უკვე ყოფილი თანაგუნდელისგან განსხვავებით, ლაკორუნიაში ესწრაფვის კარიერის გაგრძელებას. 32 წლის დეპორელი ვეტერანი ვენის „აუსტრიაში" გატარებული წარმატებული სეზონის შემდეგ კვლავ ესპანეთში დაბრუნებას აპირებს.

ჯალმა სანტოსი (ჯალმინიას სრული სახელი და გვარია) უკვე შეხვდა ხავიერ ირურეტას და კლუბში დარჩენა-არდარჩენის თაობაზე მოელაპარაკა. ირურეტას ბრაზილიელისთვის არც ჰო უთქვამს გადაჭრით და არც არა. საკითხის გადაწყვეტა უახლოეს დღეებისთვის გადაიდო.

მიუხედავად გალისიურ კლუბში დარჩენის სურვილისა, ჯალმა არც სხვა გუნდებში თამაშის შესაძლებლობას გამორიცხავს: „ამჟამად „დეპორტივოში" თამაში მირჩევნია, თუმც თუ გუნდის უფროსობა უარს მეტყვის, სხვაგანაც უპრობლემოდ გადავალ."

**ლადო ხომერიკი**



გაბრიელ მილიტომ ნავსაყუდელი მაინც ესპანეთში იპოვა

# ახლა ნახოს რეალმა
## სარაგოსაზე მოგება ალალია

**ᲡᲣᲚ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ** მადრიდის „რეალს" „ინდეპენდიენტეს" 22 წლის მცველის, გაბრიელ მილიტოს შეძენა სურდა და ფაქტობრივად ყველაფერი გადაწყვეტილიც იყო, მაგრამ სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ „სამეფო კლუბის" ექიმებმა განაცხადეს, ფეხბურთელი მომავალი ოთხი სეზონის მანძილზე სტაბილურად თამაშს ვერ შეძლებსო.

ამის შემდეგ „რეალის" სპორტული დირექტორი ხორხე ვალდანო „ინდეპენდიენტეს" წარმომადგენლებს შეხვდა და ერთწლიანი იჯარით მილიტოს მადრიდში დარჩენა შესთავაზა, მაგრამ განაწყენებულთაგან ცივი უარი მიიღო.

ამის შემდეგ მილიტო ახალი კლუბის ძიებას შეუდგა. რეალური ვარიანტი ორი იყო: „პარი სენ ჟერმენი" და პრიმერადივიზიონში დაბრუნებული „სარაგოსა".

თავად ფეხბურთელს კარიერის გაგრძელება ესპანეთში სურდა და აი, როგორც იქნა, ახალგაზრდა არგენტინელის უსიამოვნო ევროპული ვოიაჟი მეტ-ნაკლებად წარმატებით დასრულდა: „სარაგოსამ" „ინდეპენდიენტეს" 3,5 მილიონი დოლარი გადაუხადა და მილიტოსთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

შენაძენით კმაყოფილმა „სარაგოსას" პრეზიდენტმა ალფონსო სოლანსმა ასეთი კომენტარი გააკეთა: „მილიტოს ორი წლის წინაც ვაკვირდებოდით და მოხარული ვარ, რომ ტრანსფერი შედგა. „ინდეპენდიენტეს" ჩინებული ხელმძღვანელობა ჰყავს და მათთან საქმის დაჭერა ერთი სიამოვნებაა."

**გიორგი ძაძამიძე**

# მთავარი მეტოქე შემდეგი მეტოქეა
## უფრო მთავარს კი თავმოყვარეობა ჰქვია

*გუშინ, დილის 9 საათზე, მადრიდში, სამუშაოზე გავიდა ადამიანი, რომელიც ერთი თვის წინ დიადი საქმის მემკვიდრედ გამოცხადდა და რომელიც მაშინ ბევრ კითხვაზე პასუხს თავს არიდებდა, ჯერ ხალხს წესიერად გავიცნობ და დაწვრილებით საუბარი მერე იყოსო.*

*დიახ, საუბარია კარლოს კეიროშზე, „რეალის" ახალ მწვრთნელზე.*

*ამას წინათ, „რეალის" საიტისა და ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში კეიროშმა განაცხადა, რომ ერთი სული აქვს, როდის შეუდგება საქმეს. მის მოთმინებას დიდი გამოცდა ნამდვილად აღარ უწერია*



კარლოს კეიროში მოფილოსოფოსო კაცი გამოდგა

**— მას მერე, რაც გაბრიელ მილიტოს ტრანსფერი არ გამოვიდა, ცენტრალური მცველის პრობლემა პრობლემადვე დაგრჩათ, ხომ?**

— გამოსავალის მოსაძებნად ბევრს ვმუშაობთ. ჯერ კიდევ გვაქვს დრო, თუმც დრო იმავდროულად ჩვენი ყველაზე დიდი მტერიცაა. ამოცანა რთულია, რადგან ვეძებთ ფეხბურთელს, რომელიც „რეალის" მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

**— როგორ ფიქრობთ, მუშაობისთვის ყველაზე მიზანშეწონილი 21-22 ფეხბურთელი პლუს რეზერვისტებია?**

— იცით, ამწუთას არავის დასახელება არ მინდა, რადგან ნებისმიერი სია უპირველესად თვითონ ფეხბურთელებმა უნდა მოისმინონ. არ მინდა რაიმე შემეშალოს და გრძელი ჩამონათვალიდან რომელიმე თავდადებული ადამიანი გამოვტოვო. კლუბი ყველა ღონეს ხმარობს, რომ სიაში ყველა მოხვდეს. საბოლოო გადაწყვეტილება იდეალსა და რეალობას შორის შუალედში უნდა გაკეთდეს.

**— რას ელით სეზონისწინა აზიურ შეკრებისგან?**

— ბუნებრივობას. ცოტა ვღელავ კიდეც. ამ ტურნესთან დაკავშირებითაც საუკეთესო გამოსავალს ვეძებთ. ჩვენი მონაწილეობით გამართულ შოუებში ყოფნა აზიისა და მსოფლიოს ნებისმიერ კლუბს სურს და მათთან შეხვედრებს პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ.

**— მომავალ სეზონში რა მიზნებს ისახავთ?**

— გუნდის ისტორიის გათვალისწინებით, მომავალი პროგრესის საფუძველი უნდა ჩავყაროთ. ტიტულებზე არ ვლაპარაკობ, ყოველდღიურ მუშაობას ვგულისხმობ, იმას, რასაც ჩვენგან ხალხი ელის. ფეხბურთელებმა მაყურებელს პატივი უნდა სცენ და ყოველ შეხვედრაში სიამოვნება მიანიჭონ, შედეგებს კი სეზონის ბოლოს დავთვლით.

**— მაინც, რას ემსგავსება თქვენი „რეალის" ფეხბურთი?**

— მწვრთნელები ყოველთვის ულამაზეს თამაშს წარმოვიდგენთ ხოლმე, მაგრამ რეალიზმი გვავალდებულებს გავითვალისწინოთ, რომ ყოველთვის მოგება შეუძლებელია. ცხადია, გამარჯვება მნიშვნელოვანია, მაგრამ თუ მაყურებელი ტრიბუნას დიდი ბრძოლის ნახვის შემდეგ ტოვებს, მე ფრიად ნასიამოვნები ვრჩები. ხალხს სურს, თავისი გუნდი შემართებული იხილოს მთელი ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში, ხოლო ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ დიდ მეტოქეებს ვხვდებით.

**— იმედოვნებთ, რომ სეზონს უცვლელი და საუკეთესო შემადგენლობით დაიწყებთ?**

— ცხადია! სტაბილურობა და თანმიმდევრულობა ძალიან ბევრს ნიშნავს. მინდა გითხრათ, რომ საუკეთესო შემადგენლობის განსაზღვრისთვის შემადგენლობათა ცვლა დაგვჭირდება. არა, დღევანდელ ფეხბურთში ასე მოდური როტაცია არ მიყვარს, მაგრამ მომავალში პრობლემების თავიდან ასაცილებლად ეს აუცილებელია.

**— „რეალის" მთავარი მეტოქე ვინ იქნება?**

— უპირველეს ყოვლისა, მადრიდის „რეალი". ყოველი შეხვედრა უწინარესად საკუთარი თავის წინააღმდეგ უნდა ვითამაშოთ და ამას თავმოყვარეობა ეწოდება. გარდა ამისა, ყველაზე დიდი მეტოქე ყოველთვის შემდეგი მეტოქეა, რადგან ერთ დღეს ორი მოწინააღმდეგე არასოდეს გყავს.

**— რომელიმე ჯილდოს თუ გამოარჩევთ საგანგებოდ?**

— კარგი ჯილდო ის არის, რომელიც ხალხის რწმენას და სიყვარულს მოგიტანს.

**— ესპანეთის პირველობა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი შეჯიბრებაა. თქვენ პრემიერლიგას იცნობთ. ხომ არ აპირებთ ამ ცოდნიდან რაიმეს ესპანეთში გამოყენებას?**

— უთუოა, რომ ესპანეთსა და ინგლისში საუკეთესო ჩემპიონატებს ატარებენ, ოღონდ, რომელი სჯობს მე ვერ გეტყვით. ჩვენი ამოცანა იქნება ძალიან დიდი კონკურენცია გავუწიოთ მეტოქეებს, თორემ ხომ ხედავთ, წინა სეზონში რამდენმა გუნდმა იბრძოლა ტიტულისთვის. თუმცა აქ მრავალნაირი ყაიდის გუნდი თამაშობს და მათ ნაირგვარი ფანტაზია აქვთ. ზოგი საოცრად მოულოდნელია, წარმოუდგენელ სიურპრიზს მოგიწყობს ნებისმიერ დროს, ასეთი ფანტაზია ინგლისში უფრო იშვიათია.

**— რას ეტყოდით „რეალის" დიდი ოჯახის წევრებს?**

— მინდა მათი გრძნობა გულწრფელი იყოს. თუ ცუდად ვითამაშებთ, ტაშს არ მოვითხოვთ.

# ლიდერს მაგნუმი ესროლეს
## ერიდე მეკარეს ბოლო წუთზე

### ბრაზილია

**21-ე ტური: სანტოსი — გოიასი 3:3; ბაია — კორინთიანსი 0:0; ფიგეირენსე — ვასკუ და გამა 0:0; ატლ. მინეირო — ჟუვენტუდე 2:1; გუარანი — ატლ. პარანენსე 1:0; პარანა — ფორტალეზა 4:1; პაისანდუ — კრუზეირო 3:0. ტურის დანარჩენი მატჩები წუხელ გვიან ღამით გაიმართა და მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არაა**

**აი, რა მოხდა** ოთხშაბათს: „პაისანდუმ" 3:0 მოუგო ბრაზილიის ჩემპიონატის ლიდერ „კრუზეიროს", რომელიც შუა მოედნის ვარსკვლავ ალეშის გარეშე სტუმრობდა ინდუსტრიულ ქალაქს და სეზონში ყველაზე უარესი თამაში გამოუვიდა.

პაისანდუელთაგან ორი გოლი 32 წლის რობსონმა გაიტანა, რომელიც კლუბში თავის ბოლო მატჩს ატარებდა, რადგან იაპონურ „სიტა ტრინიტაში" გაყიდეს. რობსონი თამაშის დასრულებამდე ორი წუთით



რობსონი „პაისანდუს"
ორი გოლით დაემშვიდობა

ადრე გააცილეს და ფეხზე წამომდგარმა ხალხმა ოვაცია გაუმართა.

„პაისანდუმ" ფლანგებიდან დატანჯა „კრუზეირო" და შუა მოედანიც ალეშის არყოფნის გამო აართვა, რასაც კინაღამ ადრიანი გოლი მოჰყვა ლიდერის მდგომარეობა იმანაც გაართულა, რომ პირველი ტაიმის მიწურულს მცველი ტიაგო გაუძევეს უხეში თამაშისთვის. 54-ე წუთზე კი მაგნუმმა „კრუზეიროს" კარისკენ თავადვე გაიკაფა გზა და ანგარიში გახსნა. მერე რობსონმა კოხტა თავური ჩააჯინა, მერე კი ედუ დრასენა მოატყუა და კიდევ ერთი შეაგდო.

„კრუზეირომ" ვერაფერი გააწყო: აქამდე 20 თამაშში 45 გოლი გაიტანა, მაგრამ ახლა ერთიც ვერ შეაგდო. გუნდს ასევე აკლდა მთავარმეგოლე დეივიდი, რომელიც „ბორდოში" გადასასვლელად ემზადება.

ამის მიუხედავად „კრუზეირომ" ლიდერობა შეინარჩუნა, თუმცა, თამაშით მეტი აქვს და ორი ქულით უსწრებს „სან პაულუს", რომელსაც ზედიზედ ცხრა თამაში აქვს მოგებული.

მესამე ადგილზე მყოფმა „სანტოსმა" ქულა დაკარგა ბოლო ადგილზე მყოფ „გოიასთან" მატჩში, რომელსაც 2:0-ს იგებდა. ანგარიში ყრმა ჟერიმ გახსნა, რომელმაც ზედიზედ მეორე მატჩში გაიტანა, ამჯერად კი რიკარდო ოლივეირას მეცადინეობით. ოლივეირას პასს მოჰყვა ასევე ნენეს წაქცევა „გოიასის" საჯარიმოში, მაგრამ ოლივეირამ პენალტი ააცილა. ამ დროს ნენეს უკვე გაეტანა მეორე გოლი, რომელიც ასევე ოლივეირას პასით გახერხდა. მაგრამ ამის შემდეგ უცნაურობა მოხდა: პირველი ტაიმის ბოლო სამ წუთში არაუჟომ და ფაბიომ ორივე გოლი გაქვითეს. ოლივეირა მთავარი, კაცი იყო „სანტოსში" და ცდაც არ დაუკლია, საბოლოოდ დააწინაურა კიდეც „სანტოსი", მაგრამ „გოიასი" სახიფათოდ იჩხვლიტებოდა და ჩემპიონატის მთავარმეგოლე დიმბამ ოც ტურში თავისი მეთექვსმეტე გოლით ანგარიში გაათანაბრა.

„ატლეტიკო მინეირომ" 2:1 მოუგო „ჟუვენტუდეს". გამარჯვების გოლი წამატებულ დროში მეკარე ედუარდომ თავგანწირული თავურით გაიტანა. „მინეირო" რვა საუკეთესოში იმტკიცებს ადგილს და ეს თავგანწირვაც ამით იყო გამოწვეული. ედუარდომ კი რამდენიმე მკვდარი ბურთიც აიღო.

**ლუჟაუ დუ მოზკაუ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო | 21 | 13 | 4 | 4 | 45:25 | 43 |
| სან პაულუ | 20 | 12 | 5 | 3 | 40:27 | 41 |
| სანტოსი | 20 | 11 | 5 | 4 | 39:22 | 38 |
| კურიტიბა | 20 | 10 | 4 | 6 | 31:24 | 34 |
| ატლ. მინეირო | 21 | 9 | 7 | 5 | 38:30 | 34 |
| ინტერნასიონალი | 20 | 9 | 5 | 6 | 29:26 | 34 |
| კრისიუმა | 19 | 10 | 3 | 6 | 26:24 | 33 |
| კორინთიანსი | 21 | 7 | 8 | 6 | 35:26 | 29 |
| პარანა | 20 | 8 | 4 | 8 | 39:35 | 28 |
| გუარანი | 21 | 8 | 4 | 9 | 32:31 | 28 |
| ფიგეირენსე | 21 | 7 | 7 | 7 | 25:26 | 28 |
| სან კაეტანო | 20 | 6 | 9 | 5 | 19:20 | 27 |
| პაისანდუ | 21 | 7 | 5 | 9 | 35:39 | 26 |
| ვიტორია | 20 | 7 | 5 | 8 | 24:32 | 26 |
| ატლ. პარანენსე | 20 | 7 | 4 | 9 | 28:28 | 25 |
| ვასკუ და გამა | 21 | 6 | 7 | 8 | 27:33 | 25 |
| ბაია | 21 | 6 | 6 | 9 | 23:29 | 24 |
| ფლამენგო | 20 | 6 | 6 | 8 | 28:35 | 24 |
| ფორტალეზა | 21 | 6 | 4 | 11 | 25:34 | 22 |
| ფლუმინენსე | 20 | 6 | 4 | 10 | 24:35 | 22 |
| პონტე პრეტა | 19 | 6 | 7 | 6 | 28:28 | 21 |
| ჟუვენტუდე | 21 | 4 | 6 | 11 | 21:38 | 21 |
| გრემიო | 20 | 5 | 4 | 11 | 22:30 | 19 |
| გოიასი | 20 | 3 | 7 | 10 | 32:38 | 16 |

# გულია ერთგული

**ხალილუ ფადიგა**, რომელიც „ინტერის" კარდიოლოგებმა დაიწუნეს და, როგორც ჩანს, იტალიურ კლუბთან კონტრაქტი ჩაუშალეს, საბოლოოდ ბრიუსელში ჩავიდა და იქაურ კლინიკაში გაესინჯა. შედეგი: ბელგიელი ექიმების განცხადებით, მას არაფერიც არ სჭირს.

დავაზუსტოთ, რომ სენეგალელი ფეხბურთელი, რომელსაც, თუ გახსოვთ, შარშან ამ დროს, მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში, სამხრეთ კორეის ერთ-ერთ საიუველირო მაღაზიაში რაღაც ნაკეთობისკენ გაეპარა ხელი, ბელგიაში განთქმულ დასტაქართან პედრო ბრუგადასთან გახლდათ.

„ფეხბურთელს ისეთი ვერაფერი ვუპოვნე, რაც თამაშში შეუშლიდა ხელს — უთხრა სააგენტო „როიტერს" დასტაქარმა — ერთადერთი, მისი გულის ცემა შიგადაშიგ არარეგულარულია, მაგრამ ეს ძალიან ხშირია და სახიფათო არ არის".

**ბაკუნა ძიდია**



ხალილუ ფადიგა: არ მომკვდარა, მხოლოდ გორავს

### კონფედერაციის ოქროს თასი-2003



REUTERS ფოტო

ბრაზილიელთა მეკარე გომეშს ეს ბურთი რომ გაეშვა, მისიანებს საქმე ძალიან ცუდად წაუვიდოდათ

# ერთი წუთი ფინალამდე
## ოქროს თასმა ოქროს გოლი მოითხოვა

**ნახევარფინალი**

**აშშ 1:2 დ.დ.(1:1) ბრაზილია**

1:0 ოკანეგრა (62), 1:1 კაკა (89), 1:2 დიეგუ (103)
აშშ: კელერი, კონვეი, ბოკანეგრა, გიბსი, მეიდუკი, ლუისი, რეინა (მალრუნი 71), მასტროენი, სტიუარტი (ბესლი 83), მაკბრაიდი (მატისი 30), დონოვანი
ბრაზილია: გომეში, მაისონი, ლუიზაო, ალექსი, ადრიანო, პაულუ ალმეიდა (ევერტონი 86), ჟულიო ბაპტისტა, დიეგუ, ნილმარი (ნადსონი 81), კაკა, რობინიო (კარლოს ალბერტო 75)
გაძევება: გიბსი (99)
მსაჯი: კარლოს ბატრესი (გვატემალა)
35 211 მაყურებელი

**მატჩი** ბრაზილიელთა უპირატესობით დაიწყო და ამ სცენარითვე გაგრძელდა და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა, ბრაზილიელთაგან განსხვავებით, უძლიერესი შემადგენლობით თამაშობდა. მაგრამ, ბრაზილია მაინც ბრაზილიაა.

მართალია, შეხვედრა სამხრეთელთა კარნახით მიმდინარეობდა, მაგრამ პირველი გოლი ამერიკელებმა გაიტანეს და მატჩის ბოლო წუთებამდე იგებდნენ კიდეც. 62-ე წუთზე კლაუდიო რეინას ჩაკიდებულ ბურთს კარლოს ოკანეგრამ თავი დაუხვედრა და შეჯიბრების მასპინძლები დააწინაურა.

დარჩენილ დროში ბრაზილიელები კიდევ უფრო გააქტიურდნენ და რამდენიმე მომენტიც შექმნეს.

საბოლოოდ ბრაზილიამ თავისას მაინც მიაღწია. 89-ე წუთზე კელერმა კაკას რვა მეტრიდან გასროლილს ველარაფერი მოუხერხა და მატჩი დამატებით დროში გადავიდა.

გულგატეხილმა ამერიკელებმა მხოლოდ 10 წუთი გაუძლეს ბრაზილიელთა იერიშებს. 99-ე წუთზე დიეგუმ ბურთი კელერის კარისკენ გაგზავნა და გოლიც გარდაუვალი იქნებოდა, მცველ კორი გიბსს ხელით რომ არ ეთამაშა. ამ საქციელისთვის გიბსს გვატემალელმა არბიტრმა კარლოს ბატრესმა წითელი ბარათი აუფრიალა, ხოლო თერთმეტმეტრიანის დარტყმა თავად დიეგუმ ითავა და ბრაზილიამ „ოქროს გოლით" ოქროს თასის ფინალში ამოყო თავი.

რა თქმა უნდა, შედეგით კმაყოფილი დარჩა სამხრეთამერიკელთა თავკაცი რიკარდო გომესი: „ჩვენ დიდი უპირატესობა გვქონდა, მაგრამ მოგება მაინც ძალიან გაგვიჭირდა. აშშ კარგი გუნდია და არასოდეს ნებდება. გაუთავებელი გრძელი პასებითა და ჩაწოდებებით გაგვაწვალეს და გოლიც სწორედ ასე გაგვიტანეს. თუმცა ეს მატჩი აუცილებლად ჩვენ უნდა მოგვეგო."

ბუნებრივია, სხვაგვარ განწყობაზე იყვნენ დამარცხებულები. კორი გიბსმა, რომელსაც ანტიგმირს ვერავინ უწოდებს, აღნიშნა, სხვა გზა არ მქონდა, გოლი მაინც გარდაუვალი იყოო.

კეისი კელერმა კი თქვა: „ჩვენ ბოლომდე დავიხარჯეთ, თავსაც მშვენივრად ვიცავდით და ძალიან დასანანია, რომ მატჩის მიწურულს გავუშვით გოლი. ხოლო დამატებით დროში დაქანცულები და ფსიქოლოგიურად გატეხილები ვიყავით, ამიტომ ვიცოდით, რომ მოგების შანსი თითქმის აღარ გვქონდა."

აქვე აღვნიშნოთ ისიც, რომ აშშ-ს ბრაზილიასთან ჩატარებული 12 მატჩიდან 11 წაუგია და მხოლოდ 1 მოუგია. ამერიკელთა ეს ერთადერთი გამარჯვება 1998 წელს ასევე „ოქროს თასის" ნახევარფინალში შედგა.

**გიორგი ძაძაბაძე**

### ავსტრია

**მაქსზუნდლიგა. II ტური**

**ადმირა — მატერსბურგი 1:1; აუსტრია — ბრეგენცი 4:0; პაშინგი — გრაცერი 1:2; ზალცბურგი — რაპიდი 1:2; შტურმი — კერნტენი 0:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:3 | 6 |
| გრაცერი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| კერნტენი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| აუსტრია | 2 | 1 | 0 | 1 | 5:2 | 3 |
| ბრეგენცი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:4 | 3 |
| მატერსბურგი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| შტურმი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ადმირა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| აუსტრია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| პაშინგი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 | 0 |

### ფინეთი

**გადადებული მატჩი: იარო — ტამპერე 0:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 12 | 9 | 2 | 1 | 29:5 | 29 |
| ტამპერე | 13 | 8 | 2 | 3 | 21:9 | 26 |
| ჰიკ | 13 | 7 | 4 | 2 | 24:12 | 25 |
| ალიანსი | 11 | 6 | 3 | 2 | 23:16 | 21 |
| მიუპა | 13 | 6 | 2 | 5 | 18:13 | 20 |
| ჰაამენლინა | 13 | 5 | 3 | 5 | 13:22 | 18 |
| ტურკუ | 13 | 4 | 5 | 4 | 17:16 | 17 |
| ინტერი | 13 | 4 | 3 | 6 | 20:22 | 15 |
| იოკერიტი | 12 | 4 | 2 | 6 | 14:16 | 14 |
| ლაჰტი | 13 | 3 | 5 | 5 | 15:18 | 14 |
| კტპ | 13 | 4 | 1 | 8 | 20:27 | 13 |
| ჯაზი | 13 | 4 | 1 | 8 | 17:31 | 13 |
| იარო | 13 | 2 | 6 | 5 | 15:22 | 12 |
| კუოპიო | 13 | 2 | 3 | 8 | 13:30 | 9 |

### შვედეთი

**მე-15 ტური: ორგრიტე — აიკ 3:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 15 | 10 | 1 | 4 | 35:13 | 31 |
| ჰამარბი | 14 | 8 | 4 | 2 | 21:14 | 28 |
| მალმიო | 14 | 7 | 4 | 3 | 24:13 | 25 |
| აიკ | 15 | 7 | 3 | 5 | 23:18 | 24 |
| ჰალმსტადი | 14 | 7 | 2 | 5 | 25:18 | 23 |
| ორგრიტე | 15 | 7 | 2 | 6 | 23:24 | 23 |
| ორებრო | 15 | 6 | 4 | 5 | 19:21 | 22 |
| გოტებორგი | 14 | 5 | 4 | 5 | 21:15 | 19 |
| ჰელსინგბორგი | 14 | 5 | 3 | 6 | 14:23 | 18 |
| ელფსბორგი | 14 | 4 | 5 | 5 | 16:21 | 17 |
| ლანდსკრონა | 14 | 3 | 6 | 5 | 15:19 | 15 |
| სუნდსვალი | 14 | 2 | 6 | 6 | 13:19 | 12 |
| ენკოპინგი | 15 | 2 | 4 | 9 | 15:30 | 10 |
| ოსტერი | 15 | 2 | 4 | 9 | 12:28 | 10 |


სამკურნალო გაერთიანება
„ლიგა"
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე
სექსოპათოლოგიის კლინიკა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი
- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

სარბიელი და კროკო
წარმოგიდგენთ

# კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჩეხეთი. I ტური** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 17.25 | 001 | ტეპლიცე-სპარტა | 3,2 | 3,1 | 2,2 | 1,57 | 1,3 | 1,28 |
| 20.15 | 002 | პრჟიბრამი-იაბლონეცი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 20.15 | 003 | სიგმა-ზლინი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.15 | 004 | სლოვაცკო-ბუდეიოვიცე | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 19.40 | 005 | ბანიკი-ბოლესლავი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| | | **სლოვაკეთი. II ტური** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 006 | დუბნიცა-ბ.ბისტრიცა | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 21.00 | 007 | სლოვანი-ტრენჩინი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 008 | სლოვანი-ტრენჩინი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 21.00 | 009 | რუჟომბეროკი-ინტერი | 2,3 | 3,2 | 3,1 | 1,33 | 1,32 | 1,57 |
| 21.00 | 010 | პუხოვი-ტრნავა | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 23.00 | 011 | ჟილინა-პეტრჟალკა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | **დანია. I ტური** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 021 | ოლბორგი-კოპენჰაგენი | 3,2 | 3,2 | 2,15 | 1,6 | 1,28 | 1,28 |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 18.00 | 022 | ესბიერგი-ორჰუსი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 18.00 | 023 | ნორდსიელანდი-ჰერფოლგე | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.00 | 024 | მიდტიულანდი-ვიბორგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.00 | 025 | ოდენსე-ფრემი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| | 026 | ოდენსე-ფრემი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 20.35 | 027 | ბრონდბი-აკადემისკი | 1,4 | 4,2 | 7,0 | 1,04 | 1,16 | 2,62 |
| | 028 | ბრონდბი-აკადემისკი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **ავსტრია. I ტური** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 035 | მატერსბურგი-შტურმი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| | | **შვეიცარია. III ტური** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 22.30 | 038 | ბაზელი-ქსამაქსი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 039 | ბაზელი-ქსამაქსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 22.30 | 040 | სერვეტი-თუნი | 1,5 | 3.8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 22.30 | 041 | სენ-გალენი-აარაუ | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 22.30 | 042 | იანგ ბოისი-ცურიხი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | **სლოვენია. II ტური** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 23.00 | 044 | გორიცა-შმარტნო | 2.1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 23.15 | 045 | მარიბორი-პ.დრავა | 1,25 | 5,0 | 9.0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 046 | დრავოგრადი-ოლიმპია | 4,8 | 3,8 | 1,6 | 2,12 | 1,2 | 1,12 |
| 20.30 | 047 | პუბლიკუმი-მურა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.30 | 048 | ლიუბლიანა-პრიმორიე | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| | | **ხორვატია. I ტური** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 052 | მარსონია-ვარტექსი | 3,4 | 3,3 | 2,0 | 1,67 | 1,25 | 1,24 |
| 21.00 | 053 | სლავენი-კამენი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 23.00 | 054 | დინამო-ზადარი | 1.2 | 5,6 | 8,0 | 1 | 1,04 | 3,29 |
| 23.00 | 055 | ოსიეკი-ინკერი | 1,7 | 3,5 | 4.4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 056 | ჰაიდუკი-ზაგრები | 1.5 | 3.8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| | | **რუსეთი. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 080 | მეტალურგი-ზენიტი | 3,2 | 3.1 | 2,2 | 1,57 | 1,3 | 1,28 |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 081 | ალანია-ტორპედო | 2,3 | 2,7 | 2,4 | 1,24 | 1,17 | 1,27 |
| 16.00 | 082 | კრილია-შინნიკი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 16.00 | 083 | ლოკომოტივი-როტორი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 084 | ლოკომოტივი-როტორი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 16.00 | 085 | ჩერნომორეცი-დინამო | 3,0 | 3,1 | 2,3 | 1,52 | 1,3 | 1,32 |
| 16.00 | 086 | როსტოვი-რუბინი | 1,75 | 3,1 | 4,8 | 1,11 | 1,28 | 1,88 |
| 16.00 | 087 | სატურნი-სპარტაკი | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| | | **შვედეთი. XVI ტური** | | | | | | |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 091 | ჰამარბი-ლანდსკრონა | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 22.00 | 092 | ჰელსინგბორგი-ელფსბორგი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1.94 |
| 22.00 | 093 | მალმიო-სუნდსვალი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 094 | მალმიო-სუნდსვალი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ნორვეგია** | | | | | | |
| | | **XIV ტური** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 096 | ტრომსიო-ალესუნდი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 21.00 | 097 | ბრინი-ვიკინგი | 2,7 | 3,3 | 2,35 | 1,48 | 1,25 | 1,37 |
| 21.00 | 098 | სტაბეკი-სოგნდალი | 1,9 | 3,5 | 3,4 | 1,23 | 1,21 | 1,72 |
| 21.00 | 099 | მოლდე-ოდ გრენლანდი | 1,8 | 3,5 | 3,6 | 1,18 | 1,19 | 1,77 |
| 21.00 | 100 | ბრანი-ლინი | 2,15 | 3,5 | 2,8 | 1,33 | 1,21 | 1,55 |
| 21.00 | 101 | ბოდიო გლიმტი-ლილესტრიომი | 1,85 | 3,6 | 3,4 | 1,22 | 1,19 | 1,74 |
| 23.15 | 102 | ვოლერენგა-როზენბორგი | 5,3 | 3,8 | 1,55 | 2,21 | 1,19 | 1,1 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **XIV ტური** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 19.00 | 107 | იარო-კუოპიო | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 18.00 | 108 | ჰკ-ინტერი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 20.30 | 109 | ჯაზი-ლაჰტი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 110 | იეკერიტი-ჰაამეენლინა | 1,9 | 3,4 | 3,5 | 1,21 | 1,23 | 1,72 |
| 20.30 | 111 | ტურკუ-ჰაკა | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **XXII ტური** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 24.00 | 127 | სანტოსი-ვასკუ და გამა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 24.00 | 128 | გოიასი-ატლეტიკო მნ | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 24.00 | 129 | ატლეტიკო პრ-პაისანდუ | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 24.00 | 130 | ფორტალეზა-პონტე პრეტა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 24.00 | 131 | ვიტორია-პარანა | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 24.00 | 132 | კრიციუმა-კურიტიბა | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 24.00 | 133 | გუარანი-ფიგეირენსე | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 24.00 | 134 | ფლამენგო-სან პაულუ | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 24.00 | 135 | ჟუვენტუდი-ფლუმინენსე | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 24.00 | 136 | კორინთიანსი-გრემიო | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 24.00 | 137 | კრუზეირო-ბაია | 1,3 | 4,8 | 8,0 | 1,02 | 1,11 | 3 |
| 24.00 | 138 | ინტერნასიონალი-სან კაეტანო | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| | | **გერმანია** | | | | | | |
| | | **ლიგის თასი** | | | | | | |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 23.30 | 145 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **საფრანგეთი.** | | | | | | |
| | | **სუპერთასი** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 20.45 | 146 | ლიონი-ოსერი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| | | **ინტერტოტოს თასი** | | | | | | |
| | | **III ეტაპი** | | | | | | |
| | | **II მატჩები.** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 18.30 | 158 | ვერდერი-ნიცა | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 159 | ალიანსი-პერუჯა | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 20.30 | 160 | კოპერი-ეგალეო | 1,55 | 3,8 | 5,3 | 1,1 | 1,19 | 2,21 |
| 20.30 | 161 | ვილი-ნანტი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 21.00 | 162 | ვოლფსბურგი-სინოტი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 22.00 | 163 | ლიერსი-ჰერენვენი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| 22.15 | 164 | შალკე-დაჩია | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| 22.30 | 165 | პაშინგი-ტობოლი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 23.00 | 166 | ბრნო-გენგამი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 23.00 | 167 | ლიბერეცი-რასინგი | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| 23.45 | 168 | ბრეშა-ვილიარეალი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 21.00 | 169 | ციბალია-ტამპერე | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| | | **ეჩ 19 წლამდე (ლიხტენშტაინში)** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 23.00 | 176 | პორტუგალია-იტალია | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 22.30 | 184 | ოუსტრია-არსენალი | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| 23.00 | 185 | ფეიენოორდი-სიტი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 24.00 | 186 | დერბი-აიაქსი | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| 05.00 | 187 | სელტიკი-ბოკა ხუნიორსი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

interwetten.com

## ინტერვეტენი (ავსტრია)

**ინტერტოტოს თასი**
**III ეტაპი. საპასუხო მატჩები**
**26 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ვერდერი — ნიცა | 1,65 | 3,3 | 4,4 |
| ალიანსი — პერუჯა | 2,7 | 3,2 | 2,2 |
| ვილი — ნანტი | 2,4 | 3,2 | 2,4 |
| ვოლფსბურგი — სინოტი | 1,4 | 3,9 | 6,0 |
| ციბალია — ტამპერე | 1,5 | 3,7 | 5,0 |
| შალკე — დაჩია | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| პაშინგი — ტობოლი | 1,35 | 4,0 | 7,0 |
| ბრნო — გენგამი | 2,3 | 3,2 | 2,5 |
| ლიბერეცი — რასინგი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| ბრეშა — ვილიარეალი | 1,9 | 3,3 | 3,3 |

**ამხანაგური მატჩები**
**25 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| კილი — ბაიერნი | 5,0 | 3,8 | 1,4 |
| ფრაიბურგი — მაინცი | 1,9 | 3,2 | 2,9 |
| აუსტრია — არსენალი | 2,7 | 3,3 | 2,0 |

**26 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| უნიონი — ჰანზა | 2,5 | 3,3 | 2,1 |
| ზალცბურგი — შტუტგარტი | 2,2 | 3,3 | 2,4 |

**27 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| იუვენტუსი — ბარსელონა | 2,2 | 3,3 | 2,4 |

**გერმანია**
**ლიგის თასის ფინალი**
**28 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| დორტმუნდი — ჰამბურგი | 2,2 | 3,0 | 2,9 |

**საფრანგეთი. სუპერთასი**
**26 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ლიონი — ოსერი | 1,75 | 3,2 | 4,0 |

**ავსტრია. გადადებული მატჩი**
**26 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| მატერსბურგი — შტურმი | 2,7 | 3,0 | 2,3 |

**ავსტრია. III ტური**
**30 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| რაპიდი — ადმირა | 1,6 | 3,4 | 4,6 |

**შვეიცარია. III ტური**
**26 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაზელი — ქსამაქსი | 1,3 | 4,2 | 8,0 |
| სერვეტი — თუნი | 1,55 | 3,5 | 4,8 |
| სენტ გალენი — აარაუ | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| იანგ ბოისი — ციურიხი | 1,9 | 3,1 | 3,5 |

**დანია. I ტური**
**26 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ოლბორგი — კოპენჰაგენი | 2,6 | 3,0 | 2,2 |

**27 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ესბიერგი — ორჰუსი | 2,0 | 3,0 | 2,9 |
| ნორდსაელენდი — აკადემისკი | 1,9 | 3,1 | 3,0 |
| მიდტიულანდი — ვიბორგი | 1,85 | 3,1 | 3,2 |
| ოდენსე — ფრემი | 1,5 | 3,5 | 4,5 |
| ბრონდბიუ — ჰერფიოლგე | 1,4 | 3,7 | 5,3 |

**შვედეთი. გადადებული მატჩები**
**28 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰამარბი — ლანდსკრონა | 1,55 | 3,3 | 4,5 |
| ჰელსინგბორგი — ელფსბორგი | 1,8 | 3,2 | 3,3 |
| მალმიო — სუნდსვალი | 1,35 | 3,8 | 6,2 |

**ნორვეგია. XIV ტური**
**27 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოდიო გლიმტი — ლილესტრიომი | 2,0 | 3,3 | 2,7 |
| ბრანი — ლინი | 2,0 | 3,3 | 2,7 |
| ბრინი — ვიკინგი | 2,3 | 3,1 | 2,3 |
| მიოლდე — ოდ გრენლანდი | 1,9 | 3,4 | 2,8 |
| სტაბეკი — სოგნდალი | 1,8 | 3,4 | 3,1 |
| ტრომსიო — ალესუნდი | 1,65 | 3,5 | 3,5 |
| ვოლერენგა — რუსენბორგი | 3,5 | 3,5 | 1,65 |

**ფინეთი. XIV ტური**
**26 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| იარო — კუოპიო | 1,85 | 3,0 | 3,3 |

**27 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰიკ — ინტერი | 1,7 | 3,1 | 3,8 |
| ჯაზი — ლაჰტი | 2,2 | 3,0 | 2,6 |

**28 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტურკუ — ჰაკა | 3,1 | 3,0 | 1,9 |
| იოკერიტი — ჰაამენლინა | 1,9 | 3,0 | 3,1 |

**ჩეხეთი. I ტური**
**26 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტეპლიცე — სპარტა | 2,8 | 3,1 | 2,0 |
| პრჟიბრამი — იაბლონეცი | 1,8 | 3,2 | 3,3 |
| სიგმა — ზლინი | 1,75 | 3,2 | 3,5 |
| სლავია — ჟიჟკოვი | 1,5 | 3,5 | 4,5 |

**28 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბანიკი — ბუდეიოვიცე | 1,45 | 3,6 | 4,8 |

**რუსეთი. პრემიერლიგა. XVIII ტური**
**25 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტორპედო-მეტალურგი — ზენიტი | 2,5 | 3,1 | 2,2 |

**26 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ლოკომოტივი — როტორი | 1,4 | 3,6 | 5,5 |
| სატურნი — სპარტაკი | 2,2 | 3,1 | 2,5 |
| სპარტაკ-ალანია — ტორპედო | 2,5 | 3,1 | 2,2 |
| კრილია სოვეტოვი — შინიკი | 1,75 | 3,3 | 3,4 |
| ჩერნომორეცი — დინამო | 2,7 | 3,1 | 2,1 |
| როსტოვი — რუბინი | 1,85 | 3,1 | 3,2 |

William HILL

## უილიამ ჰილი (დიდი ბრიტანეთი)

**ინტერტოტოს თასი**
**III ეტაპი. საპასუხო მატჩები**
**26 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ვერდერი — ნიცა | 1,57 | 3,5 | 5,0 |
| ალიანსი — პერუჯა | 3,2 | 3,2 | 2,0 |
| კოპერი — ეგალეო | 1,72 | 3,4 | 4,0 |
| ვილი — ნანტი | 2,75 | 3,2 | 2,25 |
| ციბალია — ტამპერე | 1,57 | 3,5 | 5,0 |
| ვოლფსბურგი — სინოტი | 1,33 | 4,0 | 8,0 |
| ლიერსი — ჰერენვენი | 2,0 | 3,2 | 3,2 |
| შალკე — დაჩია | 1,2 | 5,5 | 9,5 |
| პაშინგი — ტობოლი | 1,4 | 3,75 | 7,0 |
| ბრნო — გენგამი | 2,2 | 3,2 | 2,8 |
| ლიბერეცი — რასინგი | 1,8 | 3,3 | 3,75 |
| ბრეშა — ვილიარეალი | 1,83 | 3,3 | 3,6 |

**საფრანგეთი. სუპერთასი**
**26 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ლიონი — ოსერი | 1,72 | 3,1 | 4,5 |

**ავსტრია. გადადებული მატჩი**
**26 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| მატერსბურგი — შტურმი | 2,5 | 3,3 | 2,37 |

**დანია. I ტური**
**26 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ოლბორგი — კოპენჰაგენი | 2,75 | 3,25 | 2,2 |

**27 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ესბიერგი — ორჰუსი | 2,0 | 3,2 | 3,2 |
| მიდტიულანდი — ვიბორგი | 1,83 | 3,3 | 3,6 |
| ნორდსაელენდი — აკადემისკი | 1,9 | 3,25 | 3,4 |
| ოდენსე — ფრენი | 1,53 | 3,6 | 5,0 |

**ფინეთი**
**XIV ტური**
**27 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰიკ — ინტერი | 1,5 | 3,6 | 5,5 |
| ჯაზი — ლაჰტი | 2,1 | 3,3 | 2,87 |

**28 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| იოკერიტი — ჰაამენლინა | 1,9 | 3,25 | 3,4 |
| ტურკუ — ჰაკა | 3,5 | 3,5 | 1,8 |

**ნორვეგია**
**XIV ტური**
**27 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოდიო გლიმტი — ლილესტრიომი | 1,8 | 3,3 | 3,75 |
| ბრანი — ლინი | 2,4 | 3,4 | 2,4 |
| ბრინი — ვიკინგი | 2,62 | 3,2 | 2,3 |
| მიოლდე — ოდ გრენლანდი | 1,8 | 3,5 | 3,5 |
| სტაბეკი — სოგნდალი | 1,8 | 3,5 | 3,5 |
| ტრომსიო — ალესუნდი | 1,66 | 3,4 | 4,33 |
| ვოლერენგა — რუსენბორგი | 4,5 | 3,75 | 1,57 |

**შვედეთი. გადადებული მატჩები**
**28 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰამარბი — ლანდსკრონა | 1,57 | 3,5 | 5,0 |
| ჰელსინგბორგი — ელფსბორგი | 1,8 | 3,25 | 3,8 |
| მალმიო — სუნდსვალი | 1,36 | 4,0 | 7,0 |

**შვეიცარია. III ტური**
**26 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაზელი — ქსამაქსი | 1,4 | 1,33 | 5,5 |
| სერვეტი — თუნი | 1,61 | 3,5 | 4,5 |
| სენტ გალენი — აარაუ | 1,8 | 3,4 | 3,6 |
| იანგ ბოისი — ციურიხი | 1,83 | 3,3 | 3,6 |

**ბრაზილია. XXII ტური**
**27 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლ. პარანენსე — პაისანდუ | 1,4 | 3,75 | 7,0 |
| გოიასი — ატლ. მინეირო | 2,2 | 3,3 | 2,7 |
| სანტოსი — ვასკუ და გამა | 1,44 | 3,5 | 7,0 |

**28 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| კორინთიანსი — გრემიო | 1,5 | 3,4 | 6,0 |
| კრისიუმა — კურიტიბა | 1,8 | 3,3 | 3,75 |
| ფლამენგო — სან პაულუ | 2,75 | 3,25 | 2,2 |
| ფორტალეზა — პონტე პრეტა | 1,61 | 3,5 | 4,5 |
| გუარანი — ფიგეირენსე | 1,61 | 3,5 | 4,5 |
| ჟუვენტუდე — ფლუმინენსე | 1,72 | 3,4 | 4,0 |
| ვიტორია — პარანა | 1,57 | 3,5 | 5,0 |
| კრუზეირო — ბაია | 1,28 | 4,5 | 8,0 |
| ინტერნასიონალი — სან კაეტანო | 1,53 | 3,6 | 5,0 |

# ფედერაცია პრესტიჟს უფრთხილდება, კიევში დუბლებით არ მიდის


მერაბ რატიშვილი

*მანამდე თითქმის ცხადი, გუშინ ოფიციალურად გაცხადდა — ეროვნული ნაკრები კიევის ოთხთა ტურნირზე ვერ მიდის. 27 ივლისს უკრაინის დედაქალაქში ბელარუსის, რუსეთისა და უკრაინის ეროვნული გუნდები იკრიბებიან და ორიოდ წელს მთვლემარე საქართველოს ნაკრებსაც ამ ტრიოსთან უნდა ესპარინგა*

**ფედერაციაში** ამბობენ, ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა წაუსვლელობის მიზეზი ფული არ გახლავთ — „ფინანსების პრობლემა არ გვაქვს. კიევის ბილეთებს საცაა, დავჯავშნიდით, მაგრამ სხვა, არანაკლებ სერიოზულმა პრობლემამ იჩინა თავი" — გვითხრა გუშინ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა.

მიზეზი საბრძოლო შემადგენლობის არყოლაა, „დუბლებით" კიევში ვერ წავიდოდითო, ამბობენ ფედერაციაში. სრული შემადგენლობის შეკრება, სიმართლე ითქვას, იმთავითვე არარეალური იყო, კიევურ ტურნირში მონაწილეობა რომ გადაწყდა. ნბა-ში წასულთაგან — სტეფანია, ფაჩულია, ცქიტიშვილი — პირველი ორი უკონტრაქტოდ იყო და არც ველოდით, რომ ივლისის ბოლომდე ისინი საქმეებს მოაგვარებდნენ. ეს ასეც მოხდა.

კიევში ჩასვლაზე სამივე „ამერიკელი" თანახმა ყოფილა, მაგრამ სანამ ამერიკაში საკუთარ საქმეს არ მოაგვარებდნენ, ისე ხომ ვერ წამოვიდოდნენ.

მერაბ რატიშვილი: „სტეფანია და ფაჩულია უკონტრაქტოდ არიან და ნაკრებში რომ წამოსულიყვნენ, საქმეს გაიფუჭებდნენ, ამით კი ისევ ჩვენი ეროვნული გუნდი წააგებდა. გვირჩევნია, ახლა მოვიცდით და კონტრაქტები რომ ექნებათ, მერე უპრობლემოდ ჩამოვლენ. თანაც, როგორც ვიცი, სტეფანია სამწლიანი ხელშეკრულების მოლოდინშია, ფაჩულიას კი ორწლიანზე ნაკლებს ვერ გაუფორმებენ ორლანდოელები. ასე რომ, ამგვარი პრობლემები, ახლა რომ შექმნათ, მათ კარგა ხანს აღარ შეაწუხებთ. რაც შეეხება ნიკა ცქიტიშვილს, მას ჯერაც დასამტკიცებელი აქვს დენვერელთათვის საკუთარი შესაძლებლობები და ახლა საზაფხულო კემპებზე თამაშობს. თანაც ნბა-ში იშვიათად უწევენ ანგარიშს ფიბა-ს ეგიდით ჩატარებულ მატჩებს და მოთამაშეებსაც არ უშვებენ-ხოლმე. ხოლო ამხანაგურ ტურნირზე გამოუშვითო, რომ გვეთქვა, დენვერელები არც კი დაგველაპარაკებოდნენ."

როგორც აღმოჩნდა, მარტო ნბაელებს კი არა, „ევროპელებსაც" ჰქონიათ პრობლემები, ოღონდ ჯანმრთელობის. ვახტანგ ნაცვლიშვილს მუხლი აწუხებს, მანუჩარ მარკოიშვილს კი ფეხის მყესი სტკივა.

მართალია, საბრძოლო შემადგენლობა არ შეიკრიბა, მაგრამ ვიცით, რომ ამხანაგური მატჩების შედეგს ხშირ შემთხვევაში დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ; ორიოდ წელი ქართველთა ნაკრების უთამაშებლად ყოფნა კი სწორედ ეს შემთხვევა უნდა იყოს. ამდენ ხანს უქმად მყოფი გუნდისთვის პირველ რიგში თამაშია მთავარი და მერე შედეგი. თუმც ამჯერად, გინდა არ გინდა, შედეგსაც ანგარიში უნდა გავუწიოთ, რადგან ქართველები ვართ და რუსებს ვეთამაშებით, ჩრდილოელ მეზობელთან წაგების უფლება კი არ გვაქვს.

რუსებიც და უკრაინელებიც დიდი ანგარიშით მოგვიგებენ და ამ ამბავს ევროპაში საქართველოსთვის ცუდი რეზონანსი მოჰყვებაო, გვითხრა საუბრის ბოლოს ფედერაციის გენმდივანმა.

**ირაკლი პერტაია**



*ლონგ ბიჩში ყოველწლიურად ჩატარებული საზაფხულო კემპს მიეძღვნა გუშინწინ ვებსაიტ HOOPSHYPE.com-ში გამოქვეყნებული მორის ოკულის წერილი. მასში ყველა ის ახალგაზრდაა ჩამოთვლილი, რომელთაც კემპზე თავი გამოიჩინეს. მათში ყველაზე ყოჩაღად „დენვერის" ქართველი ფორვარდი ნიკა ცქიტიშვილია გამოყვანილი*

# ცქიტიშვილმა ჯაბარის ნაკვალევს გადააბიჯა

**ლონგ ბიჩის** საზაფხულო ლიგა ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულია ამერიკაში, წლეულს 34-ედ ჩატარდა და, იქაურთა დამაჯერებელი თქმით, მასში არაერთმა მომავალმა ვარსკვლავმა ითამაშა. კარიერის პირველი ნაბიჯები სწორედ იქ, კალიფორნიულ კურორტზე გადაუდგამთ დღევანდელ სუპერვარსკვლავებს — ტრეისი მაკგრეიდისა და კობი ბრაიანტს. თუ ცოტა „ღრმად შევტოპავთ" ისტორიაში, „ლონგ ბიჩ კემპზე" ნათამაშებ ვარსკვლავთა შორის ქარიმ აბდულ ჯაბარს და ტინ არჩიბალდსაც აღმოვაჩენთ. წლეულს კი იქ ქართველმა ყმაწვილმა გაიბრწყინა.

ცქიტიშვილზე ვთქვით, ფორვარდიო, თუმც ლონგ ბიჩში „სკიტას" თამაშის თვითმხილველ მორის ოკელის უჭირს ქართველისთვის ამპლუის მისადაგება. „ამომავალ ვარსკვლავთა შორის კემპზე ყველაზე თვალში საცემი ნიკოლოზ ცქიტიშვილი იყო — ამბობს ოკელი — იგი ხშირად ისე ირჯებოდა, არც არაფერი აკლდა ვარსკვლავობამდე. შვიდფუტიანმა ქართველმა ოთხ პოზიციაზე ითამაშა, გამთამაშებლით დაწყებული, თავდამსხმელით დამთავრებული და ვერ იტყოდი, რომელიმე ამპლუას ვერ მოერგოო. ისე კი, ამ სიმაღლეს ცოტა წონაც რომ მოემატოს, ცქიტიშვილისაგან ნამდვილი ნოვიცკი დადგება."

კემპის შემდეგ სიმბოლური ნაკრები შეირჩა და მასში, რა თქმა უნდა, ცქიტიშვილიც შეიყვანეს. აი, რჩეული ხუთეულიც: ლინ გრირი (კლიპერსი), ჯენარო პარგო (ლეიკერსი), კარიმ რაში (ლეიკერსი), ნიკოლოზ ცქიტიშვილი (დენვერი), ნიკ კოლისონი (სიეტლი).

„ცქიტო" ახლა სოლტ ლეიკ სიტის კემპზე იხარჯება.

**ირაკლი პერტაია**

*„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" წარმოუდგენლად გაძლიერებამ ნბა-ს კლუბები ისე დააფეთა, რომ მათ საგანგებო მობილიზაცია გამოაცხადეს, ჯიბეები მოიჩხრიკეს და სასწრაფოდ გაძლიერებაზე იწყეს ზრუნვა. გუნდები, რომლებიც მომავალი სეზონისგან რაიმეს გამოელიან და „ლეიკერსის" ძლევის პრეტენზია შერჩენიათ, გაცვლებშიც ეძებენ ხეირს, თანაც ერთმანეთსაც სტაცებენ თავისუფალ აგენტებს*

# დევის როგორ გვეშინია
## ლეიკერსმა ნბა შეცვალა


ლატრელ სპრიუელი „მინესოტას" გააძლიერებს

**არც ერთი** გუნდი არ მოდუნებულა ლეიკერსელი ზეჭაბუკის, კობი ბრაიანტის გახმაურებული ამბის შემდეგ. მართალია, სასტუმროს 19 წლის მოსამსახურესთან ნამრუშალი კობი ისეა გაჭედილი სასამართლოს ხლართებში, რომ „ლეიკერსის" მეტოქეთათვის კარგა ხანს ვერ მოიცლის და ვინძლო, საერთოდ გისოსებშიც შეაყოფინონ თავი, მაგრამ მისი არყოფნის იმედად ხომ არ იქნებიან ვთქვათ, „სან ანტონიო", „საკრამენტო" და კიდევ სხვა საჩემპიონო გაქანების გუნდები? თანაც „ლეიკერსი" უკვე ბრაიანტის გარეშეც ძალაა ძველი შაკილ ონილით და ახალი ძველებით, ანუ ბებერი ახალწვეულებით კარლ მელოუნითა და გერი პეიტონით.

ის გრანდიოზული გაცვლები, რომლებმაც ამერიკული საინფორმაციო საშუალებების სპორტული გვერდები მოიცვა, რამდენიმე კვირა მზადდებოდა. მასში 8 გუნდმა და 15-მა მოთამაშემ მიიღო მონაწილეობა.

23 ივლისს სულ სამი გაცვლა გაიჩარხა.

### პირველი გაცვლა

**გლენ რობინსონი**
ატლანტა ⟶ ფილადელფია
**კიტ ვან ჰორნი**
ფილადელფია ⟶ ნიუ იორკი
**ლატრელ სპრიუელი**
ნიუ იორკი ⟶ მინესოტა
**ტერელ ბრენდონი**
მინესოტა ⟶ ატლანტა
**რენდი ჰოლკომბი**
ფილადელფია ⟶ ატლანტა
**მარკ ჯექსონი**
მინესოტა ⟶ ფილადელფია

ამ ექვსი მოთამაშედან ბოლო ორი ბალასტია, აი, ზეოთხეული კი ოთხმა გუნდმა ერთმანეთს წრიულად გადაუცვალეს. ამ „კარუსელიდან" წინასწარი გათვლებით მოგებული უნდა გამოვიდნენ „ფილადელფია", რომელმაც ქულების მკეთებელი მანქანა გლენ რობინსონი მიიღო და „მინესოტა", ვისაც უკვე ხანშეპარული, მაგრამ ჯერაც მძლავრი და აგრესიული მსროლელი ლატრელ სპრიუელი „შეხვდა" რიგიანი გამთამაშებლის, მაგრამ ტრავმებისგან შეკლული ტერელ ბრენდონის ნაცვლად.

გაურკვეველ მდგომარეობაშია „ატლანტა", რამეთუ არავინ იცის, წელიწადნახევარი უთამაშებელი ბრენდონი აღიდგენს თუ არა ფორმას.

რაც შეეხება გაცვლის მეოთხე მონაწილეს, „ნიუ იორკს", ამერიკის უდიდესი ქალაქის საყვარელი საკალათბურთო კლუბი სატრეიდო პოლიტიკას კიდევ უფრო უხეიროდ ახორციელებს, ვიდრე მისი „ჰოკეისტი ბიძაშვილი" „ნიუ იორკ რეინჯერსი". „ნიუ იორკს" აგერ, სპრიუელის ნაცვლად უკბილო თეთრი „ხუთოსანი" კიტ ვან ჰორნი მიაჩეჩეს.

### მეორე გაცვლა

**ბედ მილერი**
ინდიანა ⟶ საკრამენტო
**სკოტ პოლარდი**
საკრამენტო ⟶ ინდიანა
**დენიფერი**
სან ანტონიო ⟶ ინდიანა
**ჰიდაიეთ თურქოღლუ**
საკრამენტო ⟶ სან ანტონიო
**რონ არტესტი**
ინდიანა ⟶ სან ანტონიო

„ინდიანა" ასეც და ისეც კარგავდა 213-სანტიმეტრიან ოლსტარელ ცენტრ ბრედ მილერს, რომელსაც „იუტა" და „დენვერი" ექაჩებოდნენ, ასე კი მის ნაცვლად ორი გამოცდილი მოთამაშე მიიღო.

კმაყოფილია „საკრამენტოც", რომელმაც უდრტვინველად დათმო სათადარიგო ჰიდაიეთ თურქოღლუ და სკოტ პოლარდი. სამაგიეროდ, ხანგრძლივი დროით გადაჭრა ცენტრის პრობლემა და ერთი წლის შემდეგ სინანულის გარეშე გააცილებს ვლადე დივაცს, რომელიც 35 წლისა მოყრილა.

ყველაზე მეტი კი მაინც ჩემპიონმა „სან ანტონიომ" მოიგო თურქოღლუ და რონ მერსერი „სფურზის" სათადარიგოთა სკამს გააძლიერებენ და წარყვან მოთამაშეებსაც ამოასუნთქებენ. „სან ანტონიომ" თუ საკუთარი თავისუფალი აგენტები შეინარჩუნა, „ლეიკერსს" შემადგენლობის ხარისხში თუ არა, რაოდენობაში მაინც გაეჯიბრება.

### მესამე გაცვლა

**სემ კასელი**
მილუოკი ⟶ მინესოტა
**ერვინ ჯონსონი**
მილუოკი ⟶ მინესოტა
**ჯო სმიტი**
მინესოტა ⟶ მილუოკი
**ენტონი პილერი**
მინესოტა ⟶ მილუოკი

„მინესოტას" გენმენეჯერმა კევინ მაკჰეილმა ამ გაცვლებში ყველაზე სარფიანად ივაჭრა. მან ფაქტობრივად განაახლა „ტიმბერვულვზის" უკანა ხაზი ისე, რომ შეინარჩუნა წინა სეზონის ყველა წამყვანი მოთამაშე (გარნეტი, შჩერბიაკი, ჰადსონი) და ახლა მათ მიამატა რეაქტიული სემ კასელი, დაუდგომელი ლატრელ სპრიუელი და ვეება მაიკლ ოლოვოკანდი. ეს უკანასკნელი „კლიპერსიდან" თავისუფალი აგენტის სტატუსით წამოიყვანა ამ ორიოდ დღის წინ. თუ ამ ექვსი მოთამაშისგან ყველა გააკეთებს იმდენს, რამდენსაც ბოლო სეზონში აკეთებდა და ტრავმებიც არ შეუშლით ხელს, „მინესოტა" ბოლოს და ბოლოს ჩაეწერება ზემძლავრი გუნდების მოკლე სიაში და პლეი ოფშიც მკვდარი წერტილიდან დაიძრება.

რაც შეეხება „მილუოკის", ამ გუნდმა უკვე დაკარგა პლეი ოფში თამაშის ყველა შანსი.

**კოტე ყორშია**

GENERALI OPEN

კიცბიუელი. თიხნარი. საპრიზო 925 ათასი ევრო

# სიძე, შე ბებერო!

## ალ კოსტა მეჯვარეს მიაყოლეს


REUTERS
ალბერტ კოსტა

**მეორე წრე**

**ხუან კარლოს ფერერო (1, ესპანეთი) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 7:6 (7:3), 7:6 (7:2); გილერმო კორია (2, არგენტინა) — ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) 6:4, 6:3; ნიკოლას მასუ (ჩილე) — ალბერტ კოსტა (4, ესპანეთი) 6:7 (9:11), 7:5, 7:6 (7:0); ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — მიხაილ იუჟნი (6, რუსეთი) 6:3, 6:3; გასტონ გაუდიო (7, არგენტინა) — ტომას ბერენდი (გერმანია) 6:4, 6:3; ხუან იგნასიო ჩელა (8, არგენტინა) — ფრანტიშეკ ჩერმაკი (ჩეხეთი) 6:1, 6:3; მაქს მირნი (10, ბელარუსი) — ლუის ორნა (პერუ) 6:3, 6:2; ნიკოლაი დავიდენკო (11, რუსეთი) — ალექსანდრ პეია (ავსტრია) 6:2, 6:3; სარგის სარგსიანი (14, სომხეთი) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 7:6 (7:4), 6:1; ფლავიუ სარეტა (15, ბრაზილია) — გასტონ ეტლისი (არგენტინა) 7:6 (7:3), 6:1**

ვერა, ვერ დაიფულიანტიტულიანეს წლევანდელი კიცბიუელობა ალ კოსტამა თუ მისმა მეჯვარე ალექს კორეჩამ. ერთიცა და მეორეც — ტურნირის ორგზის ჩემპიონი მეჯვარეცა და სამგზის გამარჯვებული სიძეც მეორე წრიდანვე გაბუნძულდნენ.

თუმცა — თუკი კარიერისას 17 რაგინდარა ტიტულის მომნაგვრელი კორეჩა უსახელოზე უსახელო ავსტრიელმა ეშაუერმა გააძევა, 12-ტიტულოსანი კოსტა რიგიან ფორმაში მყოფსა და წინა კვირას ამსტერდამში ნაპირველარ ჩილელ მასუს ემსხვერპლა.

კორეჩასა და ეშაუერის მატჩზე გუშინ მოგახსენეთ, კოსტასა და მასუს შეხლის შესახებ კი იმას გეტყვით, რომ ის ძალზედ დაძაბული გამოდგა და სამ სეტსა და სამსაათნახევარს გაგრძელდა. მასუ უფრო გამძლე უფრო ახალგაზრდა გამოდგა, ხოლო კოსტამ ეგრეც ვერ შეძლო, წლევანდელ როლანგაროსულ მეოთხედფინალში გამარჯვების შემდეგ თავისი პირველი საეიტიპიო მოგება მიეთვალა...

ამასობაში საქმეში ჩაერთვნენ ტურნირის პირველ-მეორე მეჩოგნეები, წლევანდელი როლანგაროსოსანი ხუან კარლოს ფერერო და წლეულს საუცხოოდ მოთამაშე, ჰამბურგულ-შტუტგარტული ტიტულების მომხვეჭი და ამჟამად ჩემპიონთა რბოლის მეოთხე საფეხურზე მდგომი გილერმო კორია.

შარშანდელ ფინალში კორეჩასთან დამარცხებულ ფერეროს მეტისმეტად გაუჭირდა 19 წლის მადრიდელ ფერნანდო ვერდასკოსთან და მესამე რაუნდისკენ მხოლოდ ორი ტაიბრეკის გავლით გაიკვლია.

ეს ფერეროს 31-ე საამსეზონო თიხნარმატჩი იყო და ორი მარცხის წილ კოლობიჭი უკვე 29-ე გამარჯვებას მოიძევს. უკეთუ ის მორიგ მატჩსაც მოიგებს და მეოთხედფინალში გავა, ჩემპიონთა რბოლის მომავალ კვირაში გამოსაქვეყნებელ სიაში როჯერ ფედერერის მიერ ნაუიმბლდონევ ჩამორთმეულ პირველ ადგილს დაიბრუნებს.

სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, რომ ტურნირის მოგების შემთხვევაში ფერერომ, შესაძლოა, 12-თვიან მგორავ რეიტინგსიაში გაპირველებაც მოახერხოს. ეს კი — ეგებ თქვენც გახსოვდეთ — ამ უდავოდ ნიჭიერი და მოუწყვლელი კონკისტადორის უპირველესი მიზანია...

წინა კვირას შტუტგარტში გაჩემპიონებულმა კორიამ კი შთამბეჭდავად დაიწყო და შვედი ვინსიგერას მოსადრეკად მხოლოდ ფიორა ოფლი გამოუშვა.

RCA CHAMPIONSHIPS ინდიანაპოლისი. ჰარდი. საპრიზო 600 ათასი დოლარი

# ძალა აღმართიდან დააგორეს


REUTERS
პარადორნ შრიჩაფანი

**მეორე წრე**

**პარადორნ შრიჩაფანი (2, ტაილანდი) — ამერ დელიჩი (აშშ) 6:7 (5:7), 7:6 (7:3), 6:1; ევგენი კაფელნიკოვი (4, რუსეთი) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი-ჩერნოგორია) 7:5, 6:3; რობი ჯინეპრი (7, აშშ) — პიტერ ლუზაკი (ავსტრალია) 6:3, 6:3; ნიკოლას თომანი (საფრანგეთი) — ლი ჰიუნგ-ტაიკი (8, სამხრეთ კორეა) 6:4, 7:5; ქსავიე მალისი (9, ბელგია) — რაჯივ რამი (აშშ) 6:2, 6:4; სკოტ დრეიპერი (ავსტრალია) — გრეგ რუზედსკი (10, ბრიტანეთი) 3:6, 7:6 (7:4), 7:6 (7:4)**

დღის სამთავასათაურო ამბად შარშანდელი ჩემპიონის, ბრიტანელი გრეგ რუზედსკის გავარდნა იქცა. მძლავრად მოგლაჯუნე კუნძულელი ვეტერანმა ავსტრალიელმა სკოტ დრეიპერმა გააძევა, ვისაც რუზედსკისთან აქამდე ნათამაშებ 8 მატჩში ერთიც ვერ მოეგო, ხოლო წლეულს საერთოდ გამართული 14 შეხვედრიდან ოდენ ხუთის მოგება მოახერხა.

დრეიპერმა ჩემპიონი საათსა და 57 წუთში აოტა და წლეულს პირველად გააღწია მესამე წრეში.

დანარჩენი შეხვედრებიდან კი გამოსარჩევია თითქოს აღარპიტალო ტაილანდელ შრიჩაფანის ხანგრძლივი ბუღრაობა უსახელო ამერიკელ ამერ დელიჩთან. 21 წლის დელიჩი თავის მხოლოდ პირველ საეიტიპიო ტურნირზე გამოდის და მეორე სეტში ორი მატჩპოინტიდან ერთი მაინც რომ გამოეყენებინა, დღეს მესამე საეიტიპიო მატჩსაც ითამაშებდა.

მაგრამ თითქმის, მოგეხსენებათ, არ ითვლება და თავის მხრივ პარადორნმაც ცხადყო, რომ ამერიკულ სამაგარსაფრო სეზონს — შარშანდლის დარად — მობილიზებული და შემართული ეგებება.

ხორვატიის ღია პირველობა

უმაგი. თიხნარი. საპრიზო 400 ათასი ევრო

# მაღალს სიმდაბლე დააკლდა

**მეორე წრე**

**რაფაელ ნადალი (6, ესპანეთი) — მარიანო პუერტა (არგენტინა) 6:2, 6:4; დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — მარიო რადიჩი (ხორვატია) 7:6 (7:3), 7:6 (7:4); მაგნუს ნორმანი (შვედეთი) — საშა ტუკსარი (ხორვატია) 7:6 (10:8), 7:6 (7:3); ალბერტო მარტინი (ესპანეთი) — ივო კარლოვიჩი (ხორვატია) 2:6, 6:3, 7:6 (7:2)**

საინტერესო აქ ის მოხდა, რომ 17 წლის ესპანელმა ნიჭიერებამ, რაფაელ ნადალმა ტურნირის 2000 წლის ფინალისტ მარიანო პუერტას აჯობა. არგენტინელს ქეციანი შანსიც არ ჰქონია მუშაითი, მოულალავი მუჩაჩოს წინააღმდეგ.

ნადალი მორიგ შეხლას ტურნირის 1999 წლის ჩემპიონ მაგნუს ნორმანთან გამართავს, ვინაც — თავის მხრივ — ძლივს მოუგო უსახელო ხორვატ საშა ტუკსარს. ეს ტუკსარი ტურნირიზე მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ ესპანელმა ფელიქს მანტიამ ფაღარათის გამო კორტსგარე დარჩენა არჩია.

ჰო, მართლა — შინაურ კორტზე დაიჩაგრა წლევანდელი უიმბლდონის მთავარმესენსაციე, 208-სანტიმეტრიანი ხორვატი ივო კარლოვიჩი. ლონდონურ სეფეკონდარზე შარშანდელი ჩემპიონის, ლეიტონ ჰიუიტის პირველსავე წრეში მძლეველი ივო ესპანელმა მარტინმა გატყიპა.

არადა, ახმახს მესამე წრეში ოთხი მატჩბურთი ჰქონდა და ერთ ჩაუთვლელ ბურთზე ჭინჭყლობას რომ გადაჰყოლოდა, ეგებ ეგრე არც გაბითურებულიყო.

BANK OF THE WEST CLASSIC

სტენფორდი. ჰარდი. საპრიზო 635 ათასი დოლარი

# უუილიამსებო ტურნირში მათი სოფლელი აქაქანდა

**პირველი წრე**

**მეგან შონესი (6, აშშ) — ელენა იანკოვიჩი (სერბეთი და მისთ.) 6:3, 6:1; ელენი დანილიდუ (7, საბერძნეთი) — ტინა პისნიკი (სლოვენია) 6:1, 6:2; მარია ვენტო-კაბში (ვენესუელა) — ნადია პეტროვა (8, რუსეთი) 6:1, 7:6 (7:4); ლიზა რეიმონდი (9, აშშ) — იონ ონ ჩო (სამხრეთ კორეა) 7:5, 5:7, 6:1; ანჯელა ჰაინესი (აშშ) — რიტა გრანდე (იტალია) 6:3, 6:4**

**მეორე წრე**

**ჯენიფერ კაპრიატი (3, აშშ) — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:2, 4:6, 6:1; ემი ფრეზერი (აშშ) — დანიელა ჰანტუხოვა (4, სლოვაკეთი) 6:2, 6:4; ელენა დოკიჩი (5, სერბეთი-ჩერნოგორია) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 6:3, 6:2**


ანჯელინა ჰაინესი

დავიწყოთ იმით, რომ ტურნირს ორივე შავდა უილიამსი აკლდება. შარშანდელმა ჩემპიონმა ვინუსმა, ვინაც ფინალში კიმ კლაისტერსს მოუგო, უბრალოდ გადაწყვიტა, ტიტული არ დაიცვას — ეგებ იმის გამოც, რომ ამ ბოლო დროს ქვედამუცელს იტკივებს. სერენას კი მარცხენა მუხლის ტრავმა აქვს და სტენფორდული ტურნირი თავის განრიგიდან ამიტომ ამოაგდო. მოკლედ — უშავდო კორტებზე ისევ ბელგიელები აჩოგნავდებიან და მათთვის წინააღმდეგობის გაწევას მესამე ნომრად განთესილი ჯენიფერ კაპრიატი ეცდება.

28 ტურნირის განმავლობაში (ანუ 2002 წელს ავსტრალიის ღია პირველობაზე მოგების) შემდეგ ეგრეც ველარაფრის მომგებმა ჯენიმ თავისი პირველი მატჩი გამართა და უნდა ითქვას, რალაცის მომგებს ახლაც არა ჰგავს. ყოველ შემთხვევაში, 18 წლის ფრანგი მარიონ ბარტოლი მას მეორე სეტში ჰალალად მოერია.

კვლავ იძლია მეოთხე ნომრად განთესილი სექსფეხება სლოვაკი დანიელა ჰანტუხოვა, რომელიც უწესრიგო კვებამ ისე გამოამჭლევა, წლეულს კორტზე მხოლოდ გასაბეთქად გადის. ამ ჯერზე მას 30 წლის ქეროსან-ღიმილოსანმა ამერიკელმა ვეტერანმა ემი ფრეზერმა აჯობა.

თუმცა დღის უმთავრეს სენსაციად კალიფორნიელმა მწერლებმა მაინც იქაურ კომპტონში დაბადებულ-აჯეჯილებული ანჯლა ჰაინესის მიერ გამოცდილი იტალიელის რიტა გრანდეს დაჩოგვნა მონათლეს.

ეს ანჯელა 18 წლის შავტუხა გოგონაა და თავის პირველ WTA-ს ტურნირზე საკვალიფიკაციო მატჩებში გაპარპაშების შედეგად მოხვდა. ნამატჩევს ის ამბობდა, რომ თავს დიად მეჩოგნედ გრძნობს და ამ ტურნირის მოგებაც ხელეწიფება.

თუკი თინეიჯერი გოგოს ამგვარი კადნიერი ტონი გაგიკვირდებათ, გაცნობებთ: კომპტონი შავდა უილიამსების მშობლიური ქალაქიცაა და ანჯელასაც ხშირად ხვდენია წილად მათთან ერთად კეჭნაობა. მისი ასეთი ნამეტნავი თავდაჯერებულობაც სწორედ შავდებთან წილნაყარობიდან უნდა მოდიოდეს.

ისე კი, სენსაცია პირველ წრეშიც მოხდა — მსოფლიო რეიტინგსიის 130-ე ადგილზე მდგომმა ვენესუელელმა ვენტო-კაბშიმ ტურნირს უმალვე გამოაკლო 21 წლის რუსგოგო ნადია პეტროვა, ვინაც ჩვენი კლავიატურის არეში მას შემდეგ დამკვიდრდა, რაც რომ წლევანდელი როლანგაროსობის ნახევარფინალამდე გააღწია.

**ლევან ძელაურაძე**


ელენა დოკიჩი

# პატარა ქართველების პარიზული ფესტივალი



მურაზ დოლენჯაშვილის ფოტო

პარიზული ფესტივალის მონაწილენი სპორტის მუზეუმში

პარიზში 40 ქვეყნის 2500-მდე წარმომადგენელი ფეხბურთში, ფრენბურთში, ხელბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ცურვაში, მძლეოსნობაში, ველოსპორტში,სპორტულ ტანვარჯიშში და ძიუდოში იასპარეზებს. აქედან ჩვენი სპორტსმენები ბოლო ოთხ სახეობაში გამოვლენ. ეკა ტყემალაძის გარდა მათ შორის იქნებიან: ძიუდოისტები ლაშა ტეილდიანი, ბეთქილ შუკვანი, გიორგი შოშიაშვილი, მიხეილ ყიფშიძე, ბექა ბექაური, საბა გავაშელიშვილი, მალხაზ ნიჟარაძე, ლევან გიორგაძე; მძლეოსნები მაჩუკა ტულუში, ნინო ელიზბარაშვილი, თამარ ესებუა; ველომრბოლელები გიორგი ნადირაძე, თეიმურაზ ძიძიგური და ტანმოვარჯიშე სოფიკო კაკაშვილი.

ჩვენი ქვეყნის სპორტსმენები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით გამართულ ასპარეზობებზე გამგზავრებამდე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მუზეუმში იკრიბებიან, სადაც ერთნი წინამორბედთა წარმატებებს ეცნობიან, მეორენი იხსენებენ, მესამენი, ვეტერანები კი თავიანთ მემკვიდრეებს წარმატებებს უსურვებენ და გზას ულოცავენ. გუშინაც ასე იყო, როცა 27 ივლისიდან პარიზში გასამართი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მონაწილენი შეიკრიბნენ. ისინი რჩევადარიგებებით დამოძღვრეს ვეტერანმა ოლიმპიურმა ჩემპიონებმა მედეა ჯუღელმა და რობერტ შავლაყაძემ, ოლიმპიური ფესტივალის მონაწილე ჩვენი სპორტსმენების სახელით კი ოლიმპიური ფიცი დადეობზურგეთელმა მძლეოსანმა ეკატერინე ტყემალაძემ. იგი მოდელის როლშიც მოგვევლინა და ჩვენი დელეგაციის ამ თავისებური საპრეზენტაციო წარმოდგენის „პოდიუმზე“ „ლოტოს“ მშვენიერ სპორტულ სამოსში გამოწყობილმა გაიარ-გამოიარა, რაც მას ძალზე მოუხდა, სხვებსაც მოუხდებათ და, ეტყობა, პარიზში არავისზე ნაკლებად ჩაცმულ-დახურულნი არ იქნებიან.

თუ ამგვარ თამაშებში საქართველოს სპორტსმენთა ძველ მიღწევებს გავიხსენებთ, წარმატების ყველაზე დიდი იმედი ძიუდოისტებისა უნდა გვქონდეს. მათ აქამდე გამართული ექვსი თამაშიდან ხუთში იასპარეზეს და საერთო ჯამში მოპოვებული 24 მედლიდან (შესაბამისად 7,6,11) 22 სწორედ მათ დაიმსახურეს. დარჩენილი ორი მედლიდან შარშანწინ მურსიაში ბრინჯაო მძლეოსანთა ანგარიშზე მოვიდა, 1997 წელს კი ლისაბონიდან ფეხბურთელები ჩემპიონებად დაგვიბრუნდნენ.

გუშინდელ პრეზენტაციაზე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა და გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა საინტერესო სტატისტიკაც შეგვახსენეს — ამ თამაშებში მონაწილეთა რაოდენობისა და მათ მიერ მოპოვებული მედლების შეფარდებით საქართველო ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა და საშუალოდ ჩვენი ყოველი მეოთხე სპორტსმენი შინ მედლით ბრუნდება. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საქართველო მედლების რაოდენობით რუსეთს, უკრაინასა და ბელარუსიას ჩამორჩება, ხოლო ხარისხობრივი მაჩვენებლით რუსეთისა და უკრაინის შემდეგ მესამეა.

იმედია, ეს სტატისტიკა პარიზში უფრო განმტკიცდება.

**ავთანდილ ტყვიშელი**



მურაზ დოლენჯაშვილის ფოტო

მზია ჯუღელი, ეკატერინე ტყემალაძე, რობერტ შავლაყაძე და ჯანო ბაგრატიონი



*ჩეხური პლზენიდან ტყვიის მსროლელთა ევროპის ჩემპიონატიდან მობრუნებულმა ნინო სალუქვაძემ დასვენება შავი ზღვის სანაპიროზე არჩია. ნინოს ხშირად უთქვამს, წარუმატებლობის შემდეგ ყველაზე მეტად ბავშვებთან ყოფნა მამშვიდებსო. გუშინ დილით სალუქვაძეებმა ქობულეთისკენ გასწიეს. ტელეფონის ზარი გზად დავაწიეთ. ოლიმპიური ჩემპიონი აშკარად გულდაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ ინტერვიუზე უარი არ უთქვამს. არადა, თვითმხილველების თქმით, ნინომ ფინალური და დამატებითი სერიები ისეთი შემართებით ჩაამთავრა, ვერავინ წარმოიდგენდა, ბრინჯაოს მედალს თუ ვინმე წაართმევდა. მაგრამ იღბალი ამ კვირაში ალბანელებს ულიმის*

# ალბანური ბედისწერა

## ნინო სალუქვაძეს ბრინჯაო ჯიბიდან ამოაცალეს



— ნინო, ჩეხეთში ალბანელ ლინდიტა კოდრას ასე გაშმაგებით რომ ებრძოდით, გული ხომ არ გიგრძნობდათ, რომ ოთხშაბათს თბილისის „დინამო“ ტირანაში წააგებდა და ჩემპიონთა ლიგას დაემშვიდობებოდა?

— სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცოდი, „დინამო“ ალბანეთში რომ თამაშობდა. ესესაა, მანქანაში მითხრეს, რომ წაუგიათ.

**— ახლა ის გვითხარით, რა მოხდა პლზენში?**

— ნამდვილად გული დამწყდა, ბრინჯაო ჯიბიდან ამომაცალეს. არადა, ფინალში იმდენი ვიწვალე, 3 ქულა „ამოვქაჩე“. სულ ბოლო გასროლა რომ არა, ალბათ, დამატებით სერიამდე არც მივიდოდა საქმე. არც დამატებითში მისვრია ურიგოდ. 5 სროლიდან 4 „ათიანში“ და ერთიც „ცხრიანში“ მოვარტყი, ალბანელმა კი თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა და ყველა ათიანში მოარტყა.

**— კონტინენტის პირველობა საკმაოდ წარმომადგენლობითი ყოფილა...**

— 32 ქვეყნის 600-მდე მსროლელი ჩამოვიდა პლზენში. თითქმის ყველა უძლიერესი მსროლელი ჩამოვიდა, თუმც შედეგები ძალიან დაბალი იყო და გულიც სწორედ ამიტომ მწყდება, ბრინჯაოს მედალს რომ ვერ შევწვდი. მსოფლიო რეკორდი სპორტული პისტოლეტით სროლაში 594 ქულაა, გამარჯვებულებს, გაგერმანელებულ მონღოლ დორსურენ მუკბაიარის და ბულგარელ მარია გროზდევას შესაბამისად 585 და 584 ქულა ჰქონდათ.

**— თქვენი აზრით, რით არის გამოწვეული ასეთი ცუდი შედეგები?**

— სხვისი რა გითხრათ და, ჩემს ასეთ შედეგებს მთლად სავარჯიშო პირობებს და არათანამედროვე დანადგარებს ვერ დავაბრალებ. ალბათ ნერვების მოთოკვაც გამიჭირდა. და კიდევ, ვარჯიშისას კონკურენციას ვერ ვგრძნობ. თბილისში მარტო ვისვრი და ხანდახან მსოფლიო რეკორდსაც ვამყარებ. მაგრამ ვარჯიში ერთია, ოფიციალური შეჯიბრება სხვა. შარშან რუსეთში ვემზადებოდი იქაურებთან ერთად. მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოვიპოვე, ჩინეთში კი, მსოფლიოს თასის გათამაშებაზე მასპინძლებს ტაო ლუნას და რენ ჯის არანაირი შანსი არ დავუტოვე. მხოლოდ პირველი ადგილი იძლეოდა ოლიმპიურ ლიცენზიას და ისიც მე მერგო.

**— მოდით, აქვე ვთქვათ, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ვინ მიგაჩნიათ ძირითად კონკურენტებად?**

— ზემოთ ნახსენები მონღოლის, ბულგარელისა და ჩინელების გარდა, ძლიერი მსროლელები ჰყავთ რუსებს — ოლგა კუზნეცოვა და დიანა ახმეტდინოვა. რუს მარია ლოგვინენკოს და შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონს, უკრაინელ ალესია კოსტევიჩს ჯერ ლიცენზია არ მოუპოვებიათ, მაგრამ ათენში ისინი უცილობლად მედლებისთვის იბრძოლებენ. ამათ დაუმატეთ საკმაოდ ტიტულიანი იუგოსლაველი იასნა სეკარიჩი და ავსტრალიაში გადასული ბელარუსი ლოლიტა ევლევსკაია.

**— ათენში სპორტული და პნევმატური პისტოლეტებით აპირებთ სროლას?**

— ორივე სახეობაში გამოვალ, თუმც ლიცენზიის მოპოვება ათენში გასამგზავრებლად ერთშიც საკმარისია.

**— ტყვიის მსროლელთა საერთაშორისო ფედერაციის ახალი წესებით, ერთი სპორტსმენის მოპოვებული ლიცენზიით იგივე ქვეყნის სხვა სპორტსმენს ოლიმპიადაზე აღარ უშვებენ. რას ფიქრობთ, ქუთაისელ ნინო უჩაძეს აქვს შანსი?**

— ნინოს მხოლოდ ერთი შანსიღა დარჩა. ნოემბერში გიოტებორგში უნდა იმარჯვოს. შვედეთში ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ პნევმატური იარაღიდან უნდა ისროლონ. თუ მან ის შედეგი აჩვენა, რასაც ვარჯიშის დროს ადვილად აღწევს, ვფიქრობ, ლიცენზიის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეს. იქ იმდენი ლიცენზიამოპოვებული ჩავა, შეიძლება ოცეულში მოხვედრაც კი საკმარისი აღმოჩნდეს.

**— ჩვენში სასტენდო სროლა გამოცოცხლებას იწყებს...**

— მაია გუმბიევა ამ დღეებში მიემგზავრება ბრნოში. მართალია, იგი დიდი შესვენების მერე დაუბრუნდა აქტიურ სპორტს, მაგრამ ვფიქრობ, არ უნდა გაუჭირდეს ლიცენზიის მოპოვება.

**— სიდნეის ოლიმპიურ თამაშების შემდეგ, მითხარით — არ მინდა დიდი სპორტიდან მედლის გარეშე წავიდეო. დღესაც ამ აზრზე ხართ?**

— რა თქმა უნდა.

**— ათენის შემდეგ ხომ არ აპირებთ სპორტის დატოვებას?**

— ჯერ ათენის ოლიმპიადა ჩამამთავრებინეთ, მერე ვნახოთ.

**— სროლის და მშვილდოსნობის ფედერაცია გაიყო. ქეთევან ლოსაბერიძის დარად ხომ არ მოგვევლინებით ტყვიის სროლის ფედერაციის პრეზიდენტად?**

— ფედერაციის პრეზიდენტად ფულიანი კაცია საჭირო. ისე, ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი დღესაც ვარ.

**— მწვრთნელობას თუ აპირებთ?**

— არაა გამორიცხული. ისეთი ხასიათი მაქვს, თუ მაგ საქმეს ხელი მოვკიდე, ჩემი შეგირდები უმაღლეს ტიტულამდე უნდა მივიყვანო.

**— დაბოლოს, თუ დაგრჩათ რაიმე აუსრულებელი ოცნება სპორტში?**

— რაღა ოცნება იქნება, თუ მასზე ასე ხმამაღლა იტყვი. არის ერთი უბრალო, რეალური ოცნება, რომელიც თუ ახდება, ამ კითხვას თვითონ შეგახსენებთ.

**ზურაბ ტაბატაძე**



ტუპო ნუმინენი ფინიქსს გაეყარა

# ერთგულება: დაკარგული ცნება

## რუსებმა დეტროიტს შეჰყეფეს

**1988 წელს** 20 წლის ფინელმა ბიჭუნამ ტუპო ნუმინენმა ოკეანე გადალახა, ვინიპეგში დამკვიდრდა და ამ გუნდთან ერთად 15 სეზონი გაატარა, შემდეგ მასთან ერთად ფინიქსში გადაბარგდა და ალბათ არასოდეს იფიქრებდა, რომ კარიერის მიწურულს ბინას გამოიცვლიდა. დღესაც საკმაოდ მაღალ დონეზე მოასპარეზე მცველს თვალი ამბიციურმა დალასმა დაადგა და სამშაბათს მისი შეძენის მიზნით განახორციელა კიდეც სამმაგი ტრეიდი. საგულისხმოა, რომ დალასმა ნუმინენის გულისთვის ერთ-ერთი წამყვანი მცველი დერილ სიდორი გაწირა, იგი კოლუმბუსში გაუშვა. იქიდან ფინიქსში ფორვარდი მაიკ სელინჯერი გაგზავნეს, ხოლო ნუმინენი ტეხასურ კლუბში აღმოჩნდა. შეგახსენებთ, რომ მანამდე დალასმა თავისი მრავალწლიანი კაპიტანი, მცველი დერიან ჰეჩერი დეტროიტს გადაულოცა.

მწვრთნელთა აზრით, ნუმინენი და მანამდე შეძენილი კიდევ ერთი ვეტერანი დონ სუინი ღირსეულად შეცვლიან ყოფილ კაპიტანს.

ძველი გუნდების იმ თითებზე ჩამოსათვლელ მოერთგულეთაგან ერთ-ერთი დეტროიტელი სტივ აიზერმანი გახლავთ. „ფრთების" 38 წლის კაპიტანი კიდევ ერთ სეზონს რჩება გუნდში და ეს მისი 21-ე (!) ჩემპიონატი იქნება „წითელფრთიანთა" რიგებში. „ხელშეუხებელი" კაპიტნის ჯამაგირი, თავისი პრემიებით, 8 მილიონ დოლარს შეადგენს. ამან საკმაოდ მწვავე გამოხმაურება ჰპოვა რუსულ პრესაში. მიუხედავად წინა სეზონში გადატანილი ტრავმებისა და საკმაოდ ბუნდოვანი მომავლისა, აიზერმანი მაინც ხელსაყრელი კონტრაქტით დაასაჩუქრეს, ჩვენს ძალ-ღონით აღსავსე ფიოდოროვს კი გული დასწყვიტესო. თუმცა, როგორც იტყვიან, ძაღლი ყეფს, ქარვანი კი მიდის. ალბათ, უდავოა ის ფაქტი, რომ მთლიანობაში აიზერმანი დეტროიტისთვის მაინც უფრო ბევრს ნიშნავს.

სხვა ნჰლ-ური ამბებიდან კი ტორონტოს ტრადიციული ევროპული ვოიაჟის ამბავი ვთქვათ. წლეულს ეს კლუბი 8-დღიანი ვიზიტით ესტუმრება შვედეთსა და ფინეთს. ცხადია, ამაში გუნდის შვედი კაპიტნის მატს სუნდინის ხელიც ურევია. მით უმეტეს, რომ დაგეგმილი სამი მატჩიდან ერთ-ერთს ტორონტო თავისი კაპიტნის მშობლიური გუნდის, იურგორდენის წინააღმდეგ ჩაატარებს. დანარჩენი ორი მეტოქე ფინური იოკერიტი და შვედური ფერიესტალი იქნება. ტურნე 12-19 სექტემბერს გაიმართება.

**სამველ ლარიბიანი**

# 14 წელი თოვლის აკვანში

**დანკან მაკპერსონის** სახელი ჰოკეის თავგადაკლულ ქომაგთაც კი ალბათ არაფერს ეუბნება. 1984 წელს „აილენდერსის" მიერ დრაფტზე მე-20 ნომრად არჩეულ ჰოკეისტს ლიგაში თამაში არ ეწერა. სამი წლის განმავლობაში აჰლ-ში (ერთ-ერთი ქვედა ლიგა) ყურყუტის შემდეგ მაკპერსონი შოტლანდიაში გადაბარგდა, სადაც მას მოთამაშე მწვრთნელის პოსტი შესთავაზეს, მაგრამ ახალი საქმის დაწყება ვეღარ მოასწრო. 1989 წლის აგვისტოში ავსტრიაში დასასვენებლად მყოფი მაკპერსონი თოვლში ჩავარდა და მაშინ იგი ვერაფრით ვერ იპოვეს. და აი, 14 წლის შემდეგ, როცა მანქანით თოვლს ასუფთავებდნენ, წააწყდნენ მის გაყინულ გვამს 3000 მეტრის სიმაღლეზე. ჯიბეში საბუთები ედო და მისი იდენტიფიცირება არ გასჭირვებიათ. „უნდა ვნახო სხეული, რათა დავრწმუნდე, რომ იგი ჩემი შვილია" — ამბობს დალუპულის დედა, ლინდა მაკპერსონი. დანკანის მშობლები ხუთშაბათს აპირებენ ევროპაში გამგზავრებას.



## ტურ დე ფრანსი 2003

ეროვნულ ბიბლიოთეკა

# დაბლა მიწა ჰოლანდიისაა

**ტურ დე ფრანსის** მთიანი ეტაპები უკანაა, აწი გზა ვაკეზე გაივლის და ერთადერთი ეტაპი, რომელმაც შეიძლება ცვლილება შეიტანოს საერთო ჩათვლის ზედა ნაწილში, ესაა ინდივიდუალური რბოლა, რომელიც ამ ტურზე მეორედ ტარდება და ბოლოსწინა, მე-19 ეტაპად დაუგეგმავთ. სხვა დღიური კი, თუმც ინდივიდუალურს სიგრძეში ლამის სამჯერ აღემატებიან, ბევრ ვერაფერ ცვლილებას შეიტანენ ლიდერთა დავაში.

ამას კარგა ხანია შეგუებულია ჩათვლაში მეორე ადგილზე მყოფი იან ულრიხი და არც ბორგავს, არ ცდილობს ლიდერ ლენს არმსტრონგს გაექცეს სხვაობის შემცირებაზე იზრუნოს. ვაკეზე მაინც ვერაფერს გახდება, არმსტრონგი უბრალოდ მარტოს არ გაუშვებს წინ. ახლაც თითქოს კარგი ძმაკაცები იყვნენო, თანამედროვე ველორბოლის პირველი და მეორე მრბოლი თითქმის მთელი დისტანცია მხარდამხარ მიდიოდნენ და ერთადაც გადაკვეთეს ფინიში, სადღაც მეორე ოცეულში და იმ ჯგუფში აღმოჩნდნენ, რომელიც პირველადგილოსან სერვას კნავენს მთელი რვა წუთით ჩამორჩა. არმსტრონგმა მე-17 ეტაპის 181 კილომეტრი განსაკუთრებული მღელვარების გარეშე გალია და წინ არ გაუშვა მისი ტახტის არც ერთი რეალური პრეტენდენტი.



მე-17 ეტაპის გმირი სერვას კნავენი

ეტაპი კი, როგორც მოგახსენეთ, სერვას კნავენმა მოიგო, რომელიც პასპორტით ჰოლანდიელია და თან მე-13 ჰოლანდიელია, ვინც ტურ დე ფრანსის 100-წლოვან ისტორიაში პირველი შეგელვებულა ბორდოში, ფრანგული მეღვინეობის ამ დედაქალაქში — სულ დაგვავიწყდა, გვეთქვა, რომ მე-17 ეტაპი დაქსში დაიწყო და ბორდოში დამთავრდა.

ჰოლანდიელ ველომრბოლებს ბორდო ლამის საკუთარ სარბიელად იმად უქცევიათ, რომ ეს საშუალო სიდიდის და დიდი გაქანების ქალაქი ვაკეზე ყელყელაობს და მთებიდან გამოსულ ჰოლანდიელებს აქ უყვართ გავაკება.

ჰოლანდიელები, არც გვიკვირს და — ვერ ეწყობიან ოღრო-ჩოღრო გზებს, რამეთუ მათ სამშობლოში მთის კი არა გორაკის ნასახი არაა. ამიტომაც მათი ფეხები ლარივით გზაზე პედლაობისთვისაა მომართული. კნაველიც, ერთი საშუალო მრბოლი, არ განსხვავდება სხვა თანამემამულეთაგან და პელოტონი ჩამოვიდა თუ არა პირინეის მთებიდან ამან თავი შინ იგრძნო. ასეც თქვა — ბორდო რალაცით ჰოლანდიურ ქალაქს ჩამოჰგავსო — „ლანდშაფტი აქ თითქმის ჰოლანდიურია. როცა ეტაპის დაწყებამდე, ჩემს გუნდში რბოლის ტაქტიკა გავარჩიეთ, იმ დასკვნამდე მივედით, რომ ეტაპის რელიეფი სწორედ ჩემთვის შესაფერისი იყო და მე უნდა შემეტია."

შეუტია და კიდეც მოიგო.

| XVII ეტაპი. 24 ივლისი |
| --- |
| **დაქსი — ბორდო 181კმ** |
| 1 სერვას კნავენი (ჰოლანდია, ქუიქ სტეპი) 3სთ 54წთ 23წმ |
| 2 პაოლო ბოსონი (იტალია, ვინი კალდიროლა) + 17წმ |
| 3 კრისტოფ მენგინი (საფრანგეთი, FDJeux.com) |
| 4 ლეონ ვან ფონი (ჰოლანდია, ლოტო) |
| 5 სალვატორე კომესო (იტალია, საეკო) ყველა იგივე დრო |
| **საერთო ჩათვლა** |
| 1 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი ) 70სთ 37წთ 59წმ |
| 2 იან ულრიხი (გერმანია, ბიანკი) + 1წთ 7წმ |
| 3 ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ტელეკომი) + 2წთ 45წმ |
| 4 აიმარ სუბელდია (ესპანეთი, ეუსკატელი) + 5წთ 16წმ |
| 5 იბან მაიო (ესპანეთი, ეუსკატელი) + 5წთ 25წმ |
| 6 ტაილერ ჰამილტონი + 6წთ 35წმ |



# BOY-BUTTERFLY

## მაიკლ ფელპსმა სამ დღეში ოთხი რეკორდი მოხსნა



**ამერიკელმა** ვუნდერბოიმ ბატერფლაიში უძლიერესმა მაიკლ ფელპსმა კიდევ ერთხელ აალაფუფა აუზი და ახმაურა სრულიად საცურაო სამყარო, 200 „კომბინირებული" მეტრი წუთსა და 57,52 წამში გაცურა და ზუსტად ერთი თვის წინ დამყარებულ საკუთარსავე მსოფლიო რეკორდს 0,44 წამი ჩამოაჭრა. ბარსელონის მსოფლიო ჩემპიონატზე ეს უკვე მეორე რეკორდია, რომელიც 18 წლის ბიჭუნამ საკუთარ გმირობათა სიაში ჩაწერა. ორი დღის წინ მან 200 მეტრ ბატერფლაიშიც სარეკორდო დრო აჩვენა.

ცოტა უცნაური კია და, ეს ჩვენი ფელპსი ნახევარფინალურ გაცურვებში მიეჩვია რეკორდების მყარებას. ახლაც და წინა ჯერზეც მან ნახევარფინალებში მოხსნა ძველი რეკორდები. ასე, რომ ფელპსი ჯერ არაა ჩემპიონი 200 მეტრ კომბინაციაში, მაგრამ მხოლოდ „ჯერ", რამეთუ დღეს უკვე ფინალურ გაცურვაში მას ხეირიანი კონკურენტი არც ჰყავს, რაც ნახევარფინალებშიც გამოჩნდა.

სხვაფრივ ამ ჩემპიონატზე პირველი გაწბილება შეხვდა ბარსელონაში უკვე სამი ოქროს მომხვეჭ იან ტორპს. ავსტრალიელი მხოლოდ მესამე იყო 100 თავისუფალი მეტრის ფინალში. ისე, სიმართლე ითქვას, 50 და 100 მეტრიანი სპრინტები არცაა მისი საყვარელი დისციპლინები. ტორპი საშუალო დისტანციებზეა ძლიერი და აკი 200 და 400 მეტრზე პირველობა არავის დაუთმო. 100 მეტრზე კი მას გაასწრეს სწორედ რომ სპრინტერმა რუსმა ალექსანდრ პოპოვმა და პიტერ ვან დენ ჰოგუნბანდმა.

იმ დღეს მედლების სულ ხუთი კომპლექტი გათამაშდა და ავსტრალიელებს ოთხივეგან მოეცარათ ხელი. ოზმა დიაცებმა ამერიკელებთან წააგეს 4X200 თავისუფალი მეტრი ესტაფეტა. არადა, წინა დღეს ვაჟებმა ტორპის მეთაურობით ანალოგიურ სახეობაში სწორედ ამერიკელები დაამარცხებს, ცხადია სხვა დანარჩენ მეტოქეებთან ერთად.

კაცებში 200 „გულაღმა" მეტრი იაპონელმა კოსუკე კატახიმამ მოიგო.

ქალებში 50-მეტრიან ბრასში პირველობა ერგო ესპანელ ნინა ჟივანევსკაიას.

ქალებში 200 მეტრ ბატერფლაიში იჩემპიონა პოლონელმა ოტილია ჟედრჟეჩაკმა.

**ბოტე ყორშია**



REUTERS სიდნეიდან

# ისევ ქალს ღებავენ

ამ შაბათს ბლედისლოუს თასის პირველი მატჩი გაიმართება ავსტრალიელ „ვოლაბიზსა" და ახალზელანდიელი „ოლ ბლექებს" შორის. ოზ მორაგბეებს დასვენების საათი უდგათ და სპონსორთა საამებლად და მატჩის კიდევ უფრო გასარეკლამებლად ეროვნულ ფერად ღებავენ ლამაზმანებს. ლოტ ტუქირი და ჯორჯ სმიტი (მარჯვნივ) ფუნჯებით მისდგომიან მოდელ ტრეისი ბილს.



REUTERS ბუენოს აირესიდან

# გაცილება

არგენტინის წლეულს არჩეულმა პრეზიდენტმა ნესტორ კირხნერმა (შუაში) 367 არგენტინელი სპორტსმენი მიიწვია კასა როსადას საპრეზიდენტო სასახლეში და ამ მოხდენილ გოგო-ბიჭებს პან ამერიკული თამაშებისკენ დაულოცა გზა. პანამერიკული თამაშები 1-დან 17 აგვისტომდე გაიმართება დომინიკის რესპუბლიკის დედაქალაქ სანტო დომინგოში.

# პარკერი პარიზში

„სან ანტონიო სფურზის" ვარსკვლავი ტონი პარკერი თავის უქმე დროს პარიზში ატარებს. აქ „ლა დეფენსის" ულტრათანამედროვე დარბაზში ახლა სალაღობო საკალათბურთო მატჩების სამდღიანი სერია გაიმართება და პარკერიც ითამაშებს რომელიმე სახელდახელოდ შეკრებილ გუნდში.



REUTERS პარიზიდან

# იაპონელი

კოსუკე კიტაიამა გადახტა და მსოფლიო რეკორდიც დაამყარა ას მეტრზე ბრასით ცურვაში. ოქროს მედალი და ახალი დრო 9.78 წამი. ეს, რა თქმა უნდა, ბარსელონაში, საწყალოსნო მსოფლიო ჩემპიონატზე ხდება.



REUTERS ბარსელონიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია აბალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge